ალია
№127 /3057/ 2 სექტემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან



საქართველო ევროკავშირთან ვაჭრობით 7 წელი ვერ იხეირებს?

## ვის უნდა გამოაწერინოთ რეცეპტი და რომელ წამლებზეა დეფიციტი?

„ალიას“ კითხვებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე პასუხობს



## პედაგოგები განათლების მინისტრის გადადგომის მოთხოვნით აქციებს იწყებენ



# „კაზანტიპის“ გაუხმაურებელი სკანდალები

„შემირცხვენია ის ქვეყანა, სადაც მთავრობა მეძავებით ცდილობს გამდიდრებას“



## „მიშამ გვითხრა: აგერ მკიდიხართ ყველაო, დაგაფსით თავზეო, ვერც დამიჭერთ და ვერც ფეხებს მომჭამთო“



„საქართველოში შეიქმნება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, აქედან ერთ-ერთი, რომელსაც „იბერია“ უწოდეს, გადაკეთდება პოლიტიკურ პარტიად, სადაც გაერთიანდებიან ყოფილი მინისტრები, ელჩები და ჩინოვნიკები“

## ეროსი კიწმარიშვილის საქმე მკვლელობად გადაკვალიფიცირდება?

რას უყვება გარდაცვლილის ძმა „ალიას“



## პირველ სექტემბერს 1500 ახალი სანომრე ნიშანი გაიცა




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ 1-ელ სექტემბერს ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების გაცემა დაიწყო. პირველი ნომერი სიმბოლურად შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ დაბეჭდა. მინისტრის მიერ ხელმოწერილი ნომერი მომსახურების სააგენტოში დარჩება.

ახალი დიზაინის სანომრე ნიშნები სრულად აკმაყოფილებს ევრო სტანდარტებს, როგორც ფორმითა და დაზაინით, ისე დამცავი მექანიზმებით, რომელიც გათვალისწინებული იყო ასოცირების ხელშეკრულებით და ევროდირექტივით.

სანომრე ნიშნის მარცხენა ზედა კუთხეში – საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხოლო მარჯვენა ქვედა კუთხეში ქვეყნის საიდენტიფიკაციო კოდია **(GE)** გამოსახული. შეცვლილია ციფრებისა და ლათინური სიმბოლოების წყობაც: მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებულ წყვილ ლათინურ სიმბოლოებს შორის განლაგებულია სამი ციფრი. სანომრე ნიშნის დაცულობის მიზნით, ახალ სანომრე ნიშნებს აქვთ ფალსიფიცირების საწინააღმდეგო ჰოლოგრამა სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. საქართველოს ავტოპარკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილებისთვის მომხმარებელს საშუალება ექნება, აიღოს და ავტომობილზე განათავსოს შესაბამისი ზომის კვადრატული სანომრე ნიშნები.

მომსახურების სააგენტო სიახლეს სთავაზობს მოტომოყვარულებსაც, 1-ლი სექტემბრიდან მსურველებს საშუალება ექნებათ, მოტოციკლეტისთვის შეარჩიონ მისთვის სასურველი სახელმწიფო სანომრე ნიშანი.

სანომრე ნიშნებს მიღება შესაძლებელია მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში, ხოლო დაინტერესებული პირის მოთხოვნით სანომრე ნიშნების დამზადება (ფასიანი სანომრე ნიშანი) შესაძლებელია რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში მდებარე სტრუქტურულ ერთეულებში. რაც შეეხება სხვა ერთეულებს, სანომრე ნიშნების მიღება შესაძლებელია მისი შეკვეთიდან რამდენიმე დღეში.

შეგახსენებთ, რომ ძველი დიზაინის სანომრე ნიშნების შეცვლა სავალდებულო არ არის 2020 წლის 1-ელ სექტემბრამდე. (ნიუპოსტი)

როგორც „ალიამ“ შეიტყო, გუშინ 1500-მდე ახალი სანომრე ნიშანი გაიცა.

## პარლამენტის რემონტი 22 მილიონი დაჯდა




დაგეგმილია პარლამენტის შენობის ამ ნაწილის რეკონსტრუქცია და მაღალი რანგის სტუმრების მისაღებად იქნება გამოყენებული. დავით უსუფაშვილის განმარტებით, გადაწყვეტილება თავად პრეზიდენტის ინიციატივაა.

შენობის ეს ნაწილი მუდმივად დახურული იყო და მხოლოდ იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში იხსნებოდა, როცა პრეზიდენტი პარლამენტს სტუმრობდა ან მისი ხელმძღვანელობით პარლამენტში მაღალი რანგის სტუმრები მოდიოდნენ.

„სახელმწიფოს არ აქვს ბევრი ასეთი დარბაზი ცერემონიებისთვის, მაღალი რანგის ღონისძიებებისთვის. ამიტომ პრეზიდენტთან ერთად ჩამოვყალიბდით, რომ მოხდება ამ სართულის რეკონსტრუქცია ისე, რომ იქნება სათანადო ადგილი, როცა პრეზიდენტი მობრძანდება, უზრუნველყოფილი იყოს მისი მუშაობა, როცა პრემიერი მობრძანდება უზრუნველყოფილი იყოს მისი მუშაობისთვის, უცხოელებისთვის, ყველასთვის – პარლამენტში როცა მოდის სტუმარი, ცხადია, ჩვენ სათანადოდ დავხვდებით. ეს არის პრეზიდენტის ინიციატივა, რომელმაც ბრძანა, რომ ამხელა სართული და ამხელა ოთახი, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მოსვლისთვის არ სჭირდება. პრეზიდენტი არ თვლის, რომ ეს უნდა იყოს ჩაკეტილი და სხვა ვერავინ ვერ უნდა შემოდიოდეს“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე განცხადებით: „ნაციონალური მოძრაობის“ უგუნური გადაწყვეტილების გამო ბიუჯეტს ორი წლის განმავლობაში 22 მილიონზე მეტი ლარის დახარჯვა მოუწია იმისთვის, რომ ეს შენობა გამართულიყო. (რეპორტიორი, ფრონტნიუსი)

## ნატო საქართველოში სამხედრო საწვრთნელი ბაზის გახსნას განიხილავს



ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ საქართველო-ნატოს დაახლოების ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი წვრთნები ჩატარდეს.

„ჩვენ ვაპირებთ ქართული შეიარაღებული ძალების ნატო-ს შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთმოქმედების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მათ შორის საქართველოს ნატო-ს წვრთნებში მონაწილეობას. შესაძლოა, სამხედრო სწავლებები ნატო-ს პარტნიორი ქვეყნების ჩართულობის მიზნით, საქართველოშიც ჩატარდეს. ჩვენ ასევე განვიხილავთ საქართველოში სამხედრო საწვრთნელი ცენტრის გახსნასაც“. – განაცხადა რასმუსენმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## საომარი მოქმედებების ზონაში 10-მდე ქართველი იმყოფება

უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ანტიტერორისტული ოპერაციები მიმდინარეობს, 10-მდე ქართველია ჩარჩენილი. უკრაინაში საქართველოს ელჩის, მიხეილ უკლებას თქმით, საქართველოს მოქალაქეები საელჩოს დახმარების თხოვნით ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდნენ, თავის მხრივ საელჩომ უკრაინის ხელისუფლებას მიაწოდა ინფორმაცია და მუშავდება გეგმა, ქართველების საომარი მოქმედებების ზონიდან გამოყვანის მიზნით. რაც შეეხება ორ ქართველს, რომლებიც, გავრცელებული ინფორმაციით, სეპარატისტებს ტყვედ ჰყავთ აყვანილი, საელჩოს ამ ეტაპზე დადასტურებული ინფორმაცია არ აქვს.

„ჩვენ ოფიციალური ნოტით მივმართეთ ძალოვან სტრუქტურებს და მათგან ველოდებით პასუხს“, – განაცხადა უკლებამ. (ფრონტნიუსი)

## სკოლის ექიმს ნარკოდამოკიდებულების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენის ფუნქციაც ექნება




ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, განათლების სამინისტრომ სკოლის ექიმის ინსტიტუტის აღდგენის პილოტირების დაწყება გადაწყვიტა, რასაც ჯანდაცვის სამინისტრო მიესალმება. მისივე თქმით, სკოლის ექიმს არა მარტო გადაუდებელი დახმარების გაწევის ფუნქცია, არამედ ნარკოდამოკიდებულების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენის, ქრონიკული დაავადების აღმოჩენისა და პროფილაქტიკის ფუნქციაც ექნება.

„ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ის შეიძლება იყოს ოჯახის ექიმი ან პედიატრი. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მარტივია და უამრავ ექიმს ექნება სამუშაოს მიღების საშუალება“, – აღნიშნა სერგეენკომ.

მისივე თქმით, ეს იქნება პილოტური პროექტი, რომელიც თავდაპირველად 100 სკოლაში განხორციელდება.

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილე თემურ პირველაშვილის თქმით კი, კონკურსი უკვე მიმდინარეობს და 2 სექტემბერს თბილისის 32 სკოლაში კონკურსის მეორე ეტაპი დაიწყება. სკოლის ექიმობის კანდიდატები არასამთავრობო ორგანიზაციების, დარგის ექსპერტებისა და განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულ კომისიასთან გასაუბრებას გაივლიან.

პირველაშვილის ინფორმაციით, სავარაუდოდ, 6-7 სექტემბერს სკოლის ექიმების შერჩევის პროცესი დასრულდება. (ინტერპრესნიუსი)

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილება სამართალდამცავებზეც გავრცელდება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილება გაიზარდა და მისი მანდატი სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე ვრცელდება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ცნობით, საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, ინსპექტორი კერძო სექტორის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს 1-ლი ნოემბრიდან განახორციელებს.

მათივე ცნობით, საზედამხედველო ორგანოს ლეგიტიმაციის გაზრდის მიზნით, შეიცვალა ინსპექტორის დანიშვნის წესი, მომდევნო ინსპექტორს აირჩევს საქართველოს პარლამენტი პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი 2 კანდიდატიდან, ხოლო კანდიდატებს სპეციალური კომისია შეარჩევს.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაფართოვდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა წრე და გაიზარდა მათი დაცვის გარანტიები, შეიზღუდა და გამკაცრდა გენეტიკური მონაცემების დამუშავების წესი, დაიხვეწა ვიდეოთვალთვალის რეგულირება, ქუჩასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ვიდეოთვალთვალის განხორციელება შეიზღუდება.

საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს პირდაპირი მარკეტინგის რეგულირების დახვეწასაც, 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან მოქალაქეებს საშუალება აქვთ, კომპანიებს გამარტივებული ფორმით, ნებისმიერ დროს, მოსთხოვონ მათი მონაცემების გამოყენების შეწყვეტა, ანუ მათთვის არასასურველი სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა. (ინტერპრესნიუსი)

## სარფისა და ყაზბეგის საბაჟო გამშვები პუნქტები შეფერხების გარეშე მუშაობს

შემოსავლების სამსახურის ცნობით საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს 24 საათის განმავლობაში, შეფერხებების გარეშე ახორციელებს.

როგორც უწყებაში აღნიშნავენ, მიუხედავად მიმდინარე წლის 31 აგვისტოს დაფიქსირებული მგზავრთა დიდი ნაკადისა, ამ დროისთვის, როგორც ფიზიკური პირების მიმოსვლის, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის სატვირთო მანქანების გატარების მხრივ პრობლემები აღმოფხვრილია.

შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა/გატანასთან, ასევე აღნიშნული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთ ფიზიკურ პირთა მიმართ საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით შეფერხებები არ არის.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ამ დროისთვის სრული დატვირთვით მუშაობს საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისთანავე კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო პროცედურები ამ პუნქტისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების განმავლობაში – 07:00-დან 18:00 საათამდე ხორციელდება. (ინტერპრესნიუსი)

# ეროსი კინწმარიშვილის საქმე მკვლელობად გადაკვალიფიცირდება?

## რას უყვება გარდაცვლილის ძმა „ალიას“

ეროსი კინწმარიშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით, გამოძიება განცხადების გაკეთებისგან კვლავ თავს იკავებს, ამ ბურუსით მოცული საქმის შესახებ ახალი და საგულისხმო, ოფიციალურად, ჯერჯერობით არაფერია. გარდაცვლილის ძმამ, ზურაბ კინწმარიშვილმა 1-ელ სექტემბერს ინფორმაცია გაავრცელა, რომ მიმდინარე კვირის ბოლოს ორი ექსპერტიზა ჩატარდება. „ერთი ექსპერტიზა ჩანიშნული ჰქონდა გამოძიებას, რომელიც ტყვიის ტრაექტორიას უკავშირდება და რომელსაც ჩვენ დავესწრებით. მეორე ჩვენი ინიციატივით ვთხოვეთ გამოძიებას. ეს ექსპერტიზა არის იმ ტიპის, რომელიც ცოტა ხნის წინ შემთხვევის ადგილზე შსს-მ ჩაატარა. თუმცა ამ შემთხვევაში ექსპერტიზა მანქანის სივრცეში ჩატარდება. ამასაც ჩაატარებს პროკურატურა და ამ ექსპერტიზასაც დავესწრებით. ამით ყველა ექსპერტიზა, რომელიც ნივთმტკიცებებს, საგნებს, მანქანას, იარაღსა და გარდაცვალებას უკავშირდებოდა, გაკეთდა. ეს ექსპერტიზები ერთი გასაღების ფუნქციას იძენს და ეს ყველაფერი მთლიანობაში სწორად უნდა იქნეს გამოყენებული“, – განაცხადა ზურა კინწმარიშვილმა. მისი თქმით, ის დარწმუნებულია, რომ ეს იყო დანაშაული და მაქსიმალურად ეცდება, „ყველაფერი უკვალოდ არ წაიშალოს“.

„სამწუხაროდ, გამოძიების პროცესში არ გვაქვს საშუალება, თუნდაც ჩვენი ცნობისმოყვარეობა დავიკმაყოფილოთ და გამოვკითხოთ გამოძიებას, ხომ არ იყო ვინმეს ჩვენება მნიშვნელოვანი, რაიმე საეჭვო ხომ არ ფიქსირდება ვიდეომასალაში და ასე შემდეგ. მაქვს მოლოდინი, რომ შესაძლოა, ნებისმიერ მომენტში დანაშაული გადაკვალიფიცირდეს, იქიდან გამომდინარე, რომ გვაქვს მტკიცე რწმენა, რომ ეს იყო დანაშაული. პირადად მე, როდესაც რაღაცებს ვაანალიზებ და ჩნდება კითხვა, რატომ არ ჩანს ასე ნათლად დანაშაულის ნიშნები, ვუშვებ, რომ ეს არის საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარებული დანაშაული. თუმცა ნამდვილად ვერ დავუშვებ, რომ ყველაფერი უკვალოდ წაიშალოს. რაღაც კვალი მაინც უნდა არსებობდეს, რასაც პროფესიონალმა გამოძიებამ ფარდა უნდა ახადოს. ამის შემდგომ, ბუნებრივია, უნდა მოხდეს კვალიფიკაციის შეცვლა. მაგალითად, შეიძლება შეკვეთილ მკვლელობად, ან პირად ანგარიშსწორებად გადაკვალიფიცირდეს. რაც შეეხება დროს, როდის დაიდება საბოლოო დასკვნა, ამას ვერ გეტყვით. როგორც კი ყველაფერი გაირკვევა, პროკურატურა ამას გაასაჯაროებს“, – განაცხადა ზურაბ კინწმარიშვილმა

**„ალია“ საქმეში უფრო დეტალურად გასარკვევად ზურაბ კინწმარიშვილს დაუკავშირდა:**



**„არის შემთხვევები, ჩადენილია დანაშაული, თუმცა, დანაშაულის კვალი არსად მიდის, რა მოტივია, ბოლომდე არაა გარკვეული და არც დამნაშავეები ჩანან. არ მინდა, წინასწარ ჩემი ძმის მკვლელობის საქმე მათ რიგებში ჩავწერო. თუმცა, გულახდილი ვიქნები და ვიტყვი, რომ გამოძიება მცდელობას არ აკლებს, რომ ყველაფერი დროულად და კვალიფიციურად გამოიძიონ“**

**— ზურაბ, თქვენ აცხადებთ, რომ ყველაფერი უკვალოდ არ წაიშლება და ის დანაშაული იყო. ეჭვი ხომ არ გაგიჩნდათ, რომ თქვენი ძმის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმე შესაძლოა, გამოძიებული არ იქნას და მასაც იგივე ბედი ეწიოს, რაც ზურაბ ჟვანიასა და გიორგი სანაიას მკვლელობებს?**

– რა ვიცი, მაინც ოპტიმისტი ვარ ამ საქმეში, გამორიცხული არაფერია. გარდა იმ მაგალითებისა, რაც ჩამოთვალეთ, კიდევ სხვა შემთხვევებიც ვიცით გაუხსნელი დანაშაულებისა. არის შემთხვევები, ჩადენილია დანაშაული, თუმცა, დანაშაულის კვალი არსად მიდის, რა მოტივია, ბოლომდე არაა გარკვეული და არც დამნაშავეები ჩანან. არ მინდა, წინასწარ ჩემი ძმის მკვლელობის საქმე მათ რიგებში ჩავწერო. თუმცა, გულახდილი ვიქნები და ვიტყვი, რომ გამოძიება მცდელობას არ აკლებს, რომ ყველაფერი დროულად და კვალიფიციურად გამოიძიოს. ამ მხრივ, გამოძიებასთან სასაყვედურო არ მაქვს. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამდენი ხნის მანძილზე უფრო წინ რომ იყოს წასული გამოძიება, ნამდვილად გამიხარდებოდა. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს ასეც არის და ჩვენ, ოჯახის წევრებს, საქმის ყველა დეტალს არ გვიმხელენ.

**— ოჯახის წევრებსა და თქვენს ექსპერტებს უკვე მეორედ გიწევთ გამოძიებისთვის მიმართვა და თქვენი ინიციატივით ექსპერტიზების დანიშვნა და ჩატარება. რატომ ხდება ასე? ეს ექსპერტიზები ხომ გამოძიებამ ისედაც უნდა ჩაატაროს და ეს მათი მოვალეობაა? მით უფრო, ოჯახის მიერ მოთხოვნილი პირველი ექსპერტიზის დროს, როცა გამომძიებლებთან ერთად ხელახლა დაათვალიერეთ გარაჟი, იქ საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი აღმოაჩინეთ.**

– არა, ვერ ვიტყვი, რომ გამოძიება არ აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს. უბრალოდ, ჩემი ძმის ცხედარი ნაპოვნი იქნა ძალიან დიდ გარაჟში, დიდ სივრცეში...

**— კი, ნამყოფი ვარ იმ გარაჟში, მართლაც დიდი ტერიტორიაა.**

– გცოდნიათ... 3-სართულიანი გარაჟია, იქ თითოეული კვადრატული სანტიმეტრია გამოსაკვლევი, ნებისმიერ ადგილას შეიძლება, დანაშაულის კვალი, რაღაც მამხილებელი დეტალი აღმოჩნდეს. ჩემთვის არც დაუმალავთ გამომძიებლებს, რომ მათ პირველად უწევთ მუშაობა ასეთ დიდ სივრცეში მომხდარი დანაშაულის გახსნაში, სადაც ამხელა ტერიტორიაა გამოსაკვლევი და შესასწავლი. ამიტომაც, მათ ექსპერტიზები კი ჩაატარეს, მაგრამ ყველა ადგილი, გარაჟის მთელი ტერიტორია არ იყო გამოკვლეული. ამიტომ ჩვენ დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება გადა-



**„3-სართულიანი გარაჟია, იქ თითოეული კვადრატული სანტიმეტრია გამოსაკვლევი, ნებისმიერ ადგილას შეიძლება, დანაშაულის კვალი, რაღაც მამხილებელი დეტალი აღმოჩნდეს. ჩემთვის არც დაუმალავთ გამომძიებლებს, რომ მათ პირველად უწევთ მუშაობა ასეთ დიდ სივრცეში მომხდარი დანაშაულის გახსნაში, სადაც ამხელა ტერიტორიაა გამოსაკვლევი და შესასწავლი“**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მერაბიშვილმა გირგვლიანის საქმეზე დაკითხვაზე უარი განაცხადა



საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე ცნობილი გახდა, რომ შს ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით დაკითხვაზე უარი განაცხადა.

ბრალდებულების ადვოკატებმა განაცხადეს, რომ დაცვის მოწმეთა უმრავლესობა საქმიდან მოიხსნება და აღარ დაიკითხება. პროკურორის განცხადებით, დაკითხვაზე უარს ამბობენ, ასევე, სხვა ბრალდებულებიც.

შემდეგი პროცესი 3 სექტემბერს 15:00 საათზე ჩაინიშნა, სადაც დაცვის მხარის სამი მოწმის დაკითხვა მოხდება, მათ შორის ერთი ექსპერტია. ამის შემდეგ კი სასამართლო უკვე დასკვნითი სიტყვების ეტაპზე გადადის.

როგორც ცნობილია, გირგვლიანის საქმეზე სასამართლოს განსახილველი ვადა მიმდინარე წლის დეკემბრამდე აქვს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „სასწრაფოების მუშაობაში საფრთხის შემცველ ცვლილებას ადგილი არ აქვს“




ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების თემის გარშემო ატეხილ ვნებათაღელვას გამოეხმაურა.

„ხარისხის გასაზომად საჭიროა გასაზომი ინდიკატორის ქონა. სასწრაფოს შემთხვევაში ეს არის გამოძახებიდან ადგილზე მისვლისა და ადგილზე მისვლიდან საავადმყოფოში მიყვანის დრო. ეს ყველა ტიპის გამოძახებისთვის ერთნაირი არ არის. მაგალითად, პირველი კატეგორიის, როგორიც არის ავტოსაგზაო შემთხვევა, ეს არის 12-წუთიანი ხაზი, როდესაც მაღალ ტემპერატურაზე სასწრაფო დახმარება შეიძლება 40-წუთში მივიდეს. ხაზს ვუსვამ, რომ პაციენტთან გამომძახებელსა და დისპეტჩერთან ურთიერთობაში არაფერი იცვლება, ის დაუსვამს იგივე კითხვას, რასაც აქამდე უსვამდა. ამას ჩვენ შიდა ანალიზისთვის გამოვიყენებთ. გარდა ამისა, როდესაც დგება სიტუაცია, მაგალითად, არის ორი გამოძახება და ადგილზეა ერთი თავისუფალი მანქანა, აქედან ერთი გამოძახება საგზაო ან სიმაღლიდან გადმოვარდნის შემთხვევას ეხება, როცა სისხლდენით რეკავს ვინმე, ხოლო მეორე მაღალი ტემპერატურის შემთხვევაა – დისპეტჩერმა უნდა გააკეთოს არჩევანი, სასწრაფო გაუშვას სისხლდენის თუ პოლიტრავმის შემთხვევაზე, თუ მაღალსიცხიან პაციენტთან. აქამდე უმეტესად იყო რიგითობით გასვლა, ხოლო რაიონებში ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ განაწილებას, როცა ტრასაზე, ერთ რაიონთან ახლოს ავარია ხდებოდა, მაგრამ ადმინისტრაციულად სხვა რაიონს ეკუთვნოდა, რომელსაც იმ წუთას თავისუფალი მანქანა არ ჰყავდა, სხვა რაიონს კი, შემთხვევის ადგილზე გასვლის უფლება არ ჰქონდა“, – განაცხადა მინისტრმა. (რეპორტიორი)

*მესამე გვერდიდან*

ვწყვიტეთ და ამან შედეგი გამოიღო – ჩემი აზრით, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დეტალი აღმოჩნდა გარაჟში. ახლა კი ავტომობილის ხელახალი დათვალიერება გვინდა. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს ეს ექსპერტიზა.

**— გამომძიებლები უკვე დაგთანხმდნენ ექსპერტიზის ჩატარებაზე?**

– კი, ექსპერტიზა მათთან ერთად ჩატარდება, ოფიციალურად, შსს-ს კრიმინალისტებთან ერთად, მათივე ტექნიკური საშუალებებით.

**— უკვე თვე-ნახევარი გავიდა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებიდან. მრჩება შთაბეჭდილება, რომ გამოძიება ძალიან ჭიანურდება. თქვენ ასე არ ფიქრობთ?**

– არა, მე ასე არ ვფიქრობ. ბუნებრივია, მეც მინდა, უფრო სწრაფად გაიხსნას ეს საქმე, მაგრამ გამოძიება გვარწმუნებს, რომ ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით მიდის, ყველაფრის გარკვევას დრო სჭირდება. ჩატარებულია მრავალი ექსპერტიზა, დაკითხულია ძალიან ბევრი ადამიანი, მოპოვებულია სხვა სახის ინფორმაციები და სამხილები და ამ ყველაფრის დალაგებას, ანალიზს დრო სჭირდება. თუმცა, ვიმეორებ, მე უფრო ჩქარა მინდა გაიხსნას ეს საქმე.

**— გამოძიების პროცესში უცხოელი დეტექტივების ჩართვაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

– იმის საშუალება არ გვაქვს, რომ აქ „ეფ-ბე-აი"-ს გამომძიებლები ჩამოვიყვანოთ. არც ჩვენი გამომძიებლების მუშაობით ვარ უკმაყოფილო. ვფიქრობ, რაც შეუძლიათ, იმას ნამდვილად აკეთებენ.

**— რაც შეუძლიათ, იმას კი აკეთებენ, მაგრამ იქნებ იმდენი არ შეუძლიათ, რაც საქმის გამოსაძიებლადაა საჭირო? აუცილებელი ხომ არ არის „ეფ-ბე-აი"-ს გამომძიებლები, ზოგადად, ჩვენებზე უფრო კვალიფიციური დეტექტივები ამ საქმის გამოძიებას, ნამდვილად წაადგება.**

– რაც მეტი მაღალი კვალიფიკაციის გამომძიებელი იქნება ჩართული ამ პროცესში, მით უკეთესი. ამის წინააღმდეგი როგორ შეიძლება ვიყო? თუმცა, ხომ გითხარით, იმის საშუალება არ გვაქვს, რომ უცხოელი დეტექტივები დავიქირაოთ. თუმცა, ვიმეორებ, რომ ამ ეტაპზე ამის საჭიროებას ვერ ვხედავ, ვფიქრობ, გამოძიება კარგად მუშაობს. მთელი თბილისის სამართველოს ერთი (საგამოძიებო) განყოფილება ამ საქმეშია ჩართული და ამ ხალხზე როგორ ვთქვა, რომ არ მუშაობენ მთელი მონდომებით? მართლა ყველაფერს აკეთებენ, რაც შეუძლიათ.

**— თქვენ აცხადებთ, რომ შესაძლოა, ეს საქმე შეკვეთილ მკვლელობად გადაკვალიფიცირდეს. რის საფუძველზე ამბობთ ამას? თქვენი ვარაუდია თუ პროკურატურიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ საქმე შეკვეთილ მკვლელობად გადაკვალიფიცირდება?**

– არა, ამას საკუთარი ინფორმაციის საფუძველზე ვაცხადებ, გამოძიებას ამის შესახებ არაფერი უთქვამს ჩემთვის. მე ვესწრებოდი ექსპერტიზებს, მაქვს გარკვეული



**„ჩემს ძმას ფეხდაფეხ არ დავყვებოდი, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ „ქართული ოცნების" მთავარ პერსონებთან წინასაარჩევნო პერიოდში არანაირი პოლიტიკური კავშირები, თანამშრომლობა არ ჰქონია. ეს, თქვენი კითხვის პასუხად, ზოგადად კი ამ ვერსიაზე საერთოდ არც ვფიქრობ და არც მსურს საუბარი, უბრალოდ, ყველას ვთხოვდი, ჩემს ძმას თავი დაანებონ და ნუ ეცდებიან მომავალში მისი სახელით სპეკულირებას"**

ინფორმაციები, ვიცოდი ჩემი ძმის ბოლოდროინდელი საქმიანობისა და მისი გეგმების შესახებ... ამ ყველაფრის ანალიზის საფუძველზე ვფიქრობ, რომ მას თვითმკვლელობის არანაირი საბაბი არ ჰქონდა. სავარაუდოდ, მკვლელობამდე მიყვანის მუხლი შეკვეთილ მკვლელობად გადაკვალიფიცირდება. ვნახოთ, დაველოდოთ გამოძიებას, იმედი მაქვს, რომ ჩემი ვარაუდი საფუძვლიანია.

**„ექსპერტიზები კი ჩაატარეს, მაგრამ ყველა ადგილი, გარაჟის მთელი ტერიტორია, არ იყო გამოკვლეული. ამიტომ ჩვენ დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება გადავწყვიტეთ და ამან შედეგი გამოიღო – ჩემი აზრით, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დეტალი აღმოჩნდა გარაჟში. ახლა კი ავტომობილის ხელახალი დათვალიერება გვინდა. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს ეს ექსპერტიზა"**



**— ადვოკატმა რომეო საჯაიამ განაცხადა, რომ ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა ბარბარე რაფალიანცის საქმეს უკავშირდება, ვითომ ეროსი წინააღმდეგი იყო, რომ „ქართული ოცნების" გამარჯვებისთვის, პატარა ბავშვი მოეკლათ. საჯაია აცხადებს, რომ ეროსი „ქართული ოცნების" ლიდერებთან ერთად ესწრებოდა იმ თათბირს, სადაც, თითქოს, რაფალიანცის მკვლელობა დაიგეგმა. ამბობს, რომ თქვენს ძმას ამის თაობაზე გადაწყვეტილი ჰქონდა განცხადების გაკეთება, მერე პროკურატურისთვის შესაბამისი ჩვენების მიცემა და ამიტომ მოკლესო. მოკლედ, ისე გამოდის, რომ ეროსის რაფალიანცის საქმის გახსნა უნდოდა და ამიტომ მოკლეს. არაპირდაპირ ხელს ხელისუფლებისკენ იშვერს საჯაია, რომ მისი მოკლულია ეროსი. თქვენ რა იცით ამის შესახებ? საერთოდ, ეროსის 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან და „ქართულ ოცნებასთან" შეხება ჰქონდა?**

– არა, ამ არჩევნებთან შეხება არ ჰქონია, ჩემს ძმას ფეხდაფეხ არ დავყვებოდი, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ „ქართული ოცნების" მთავარ პერსონებთან წინასაარჩევნო პერიოდში არანაირი პოლიტიკური კავშირები, თანამშრომლობა არ ჰქონია. ეს, თქვენი კითხვის პასუხად, ზოგადად კი ამ ვერსიაზე საერთოდ არც ვფიქრობ და არც მსურს საუბარი, უბრალოდ, ყველას ვთხოვდი ჩემს ძმას თავი დაანებონ და ნუ ეცდებიან მომავალში მისი სახელით სპეკულირებას.

**— თქვენმა ერთმა მეზობელმა განმიცხადა, რომ ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა წარსულში მომხდარ დიდ დანაშაულს უკავშირდება, ეს დანაშაულის ერთი ჯაჭვია და მკვლელობები, შესაძლოა, კიდევ გაგრძელდესო. ეს, ვერსიის სახით, „ალიაშიც" დაიბეჭდა. ამაზე რას იტყვით, რამდენად რეალურია ეს ვერსია და ხომ არაფერი გსმენიათ იმის შესახებ, რომ ეროსის წარსულში რაღაც სერიოზულ კრიმინალთან ჰქონდა კავშირი?**

– ვიცი ეს წერილი და მინდა გითხრათ, რომ ეს ვერსია სრულიად უფორმმოა, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო და სიურრეალიზმთან უფრო ახლოსაა, ვიდრე რეალობასთან. გამოვრიცხავ, რომ ჩემს ძმას წარსულში რაიმე სერიოზულ და დიდ დანაშაულთან ჰქონოდა შეხება. ხალხს ლაპარაკს ვერ დავუშლი. მას (ხალხს) ეს ძალიან ხიბლავს და ვერც ფანტაზიის ნაკლებობას დააბრალებ...

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ავტოავარიის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა

ავარია მოხდა სოფელ რუისთან. „ჰიუნდაის" მარკის ჯიპი საპირისპიროდ მიმავალ „ბე-ემ-ვე"-ს მარკის ავტომობილს შეეჯახა, რის შედეგადაც 4 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი, რომელიც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ქარელის საავადმყოფოში გადაიყვანა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. (ნიუპოსტი)




## „საქართველო უელსის სამიტზე უაღრესად წელში გამართული მიდის"

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმების გამო იმედოვნებს, რომ უელსის სამიტის შემდეგ როგორც რეგიონის უსაფრთხოება, ისე საქართველოს ნატოსკენ მიმავალი გზა უფრო უკეთესი იქნება.

„ჩვენ მივდივართ ორი მნიშვნელოვანი მიზნისთვის. პირველი – უელსის სამიტი იყოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და რეგიონის უსაფრთხოების გაღრმავების სამიტი და ამ მიმართულებით გადაიდგას ნაბიჯები, რომელიც ჩვენს ქვეყანას, რეგიონსა და ხალხს უფრო დაცულ და სტაბილურ გარემოს შეუქმნის და მეორე – მივდივართ იმისთვის, რომ სამიტი იყოს საქართველოს ნატოს წევრობისკენ მიმავალ გზაზე ასევე სერიოზული და პოზიტიური კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯი. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩემს გუნდს კიდევ ერთხელ მოუწევს ბრძოლა თითოეული ხმისთვის"

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ტრადიციის გაგრძელება მნიშვნელოვანია ჩვენი წინსვლისთვის.




„ის, რომ ჩემი მთავრობა მოვიდა ქვეყნის სათავეში 2012 წლის მშვიდობიანი, თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების შედეგად, არ არის საკმარისი. ჩვენი ვალდებულებაა, უზრუნველვყოთ ნებისმიერი შემდგომი არჩევნების თავისუფლება და სამართლიანობა.

საბედნიეროდ, ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები მოწონებული იყო საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ, როგორც თავისუფალი და სამართლიანი. უკანასკნელმა არჩევნებმა გზა გაუხსნა უფრო მეტი ძალაუფლების დეცენტრალიზაციას და მეტი პასუხისმგებლობის დაკისრებას ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ეს ტენდენცია გააძლიერებს დემოკრატიას და ურთიერთობებს ხელისუფლებასა და ხალხს შორის. საქართველოში გაყალბებული არჩევნების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩემს გუნდს კიდევ ერთხელ მოუწევს ბრძოლა თითოეული ხმისთვის", – განაცხადა პრემიერმა. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# საქართველო ევროკავშირთან ვაჭრობით 7 წელი ვერ იხეირებს?

**1-ლი სექტემბრიდან, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების უდიდესი ნაწილი დროებით ამოქმედდა. კერძოდ, ძალაში შევიდა დოკუმენტის 80%, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტი, რაც ითვალისწინებს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე.**

**რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ხელშეკრულების ამ ნაწილს, რა სარგებელს მიიღებს მისი ამოქმედებით ქართველი მეწარმე და რამდენად აქვს ქართულ პროდუქციას ევროპულ ბაზარზე დამკვიდრების შანსი?**



**„ალიას“ ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე ესაუბრა:**

— ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, მის უარყოფით მხარეებზე საუბარი გამართლებული არ იქნება, რადგან შანსს გვაძლევს, რომ თუ ჩვენს ეკონომიკასა და შესაბამის ინფრასტრუქტურას გადავაწყობთ, მსოფლიოს ერთ-ერთ მაღალტექნოლოგიურ, მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე ბაზარზე გავიდეთ, რაც კარგია, მაგრამ არ მომწონს ის, რასაც ვხედავ საქართველოში, განსაკუთრებით ხელისუფლების მხრიდან — დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, გამართული აქვთ ტაშ-ფანდურა, თითქოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების უდიდესი ნაწილის ამოქმედებასთან ერთად ჩვენ გავბრწყინდებით. არ არის ასე. საქართველოს ეკონომიკა, უბრალოდ არ არის მზად ამ ბაზარზე გასასვლელად. თხილი, მცირე რაოდენობის ღვინო და კიდევ რაღაცები, ევროპაში ხელშეკრულების გარეშეც გადიოდა. ამას ხელშეკრულება არ სჭირდებოდა, მაგრამ ეს ის მოცულობებია, რომლებიც არანაირ პირობას არ ქმნის, რომ ქვეყანა განავითარო.

უნდა გავაჩინოთ პროდუქცია, რომელიც თავისი ხარისხითა და სტანდარტებით, ევროპელი მომხმარებლისთვის იქნება მისაღები. ჩვენ ყველაფერი იმპორტზე დავკიდეთ. ის, რასაც ვაწარმოებთ, არის უხარისხო და ევროპულ ბაზარზე გასატანად არ ვარგა, პლუს ამას, მონგრეულია სისტემა, ხარისხის სტანდარტები და ეს არის უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა მოეწყოს ევროპის დარად, იმ პრინციპების საფუძველზე.

დადებითია ისიც, რომ საშუალება გვეძლევა, ევროპის ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე შევიდეთ, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია. ცხადია, ხარისხთან და დაბეგვრის სხვა საკითხებთან დაკავშირებით არაფერი იცვლება ევროპულ კანონმდებლობაში. ხელისუფლებამ, რატომღაც წარმოდგენა შეუქმნა მოსახლეობას, რომ თითქოს, რაღაც შეღავათებზეა საუბარი. ევროკავშირი გვთავაზობს, ცივილიზებულ ბაზარზე შესვლას, არა შეღავათების, „მოფერებისა“ და დათმობების ხარჯზე, არამედ პირდაპირ გეუბნება, გასწორდი, დალაგდი, ჩამოაყალიბე შენი ხედვები და ივაჭრე საუკეთესო მომხმარებელთან. ჩვენ, რატომღაც გვინდა, რომ არ იყოს დაბეგვრა, ყურადღება არ მოგვაქციონ ხარისხზე, გავასაღოთ ის ნაგავი, რასაც ჩვენს ხალხს ვაჭმევთ. ევროპაში, საბედნიეროდ, ასე არ ხდება. ცხადია, იმპორტზე ჩამოკიდებულ ქვეყანაში სერიოზული საფრთხე ჩნდება, რომ მაღალტექნოლოგიურ ევროპულ პროდუქციას კონკურენციას ვერ გავუწევთ.

ევროპულ ბაზარზე, ქართული პროდუქცია ვერ დამკვიდრდება, თუ ქართული ბიზნესი, ქართველი ფერმერები, ნელ-ნელა თავისი პირობებით არ გამოვუთანაბრეთ ევროპელ ბიზნესმენს და ევროპელ ფერმერებს. შეუძლებელია ასეთ განსხვავებულ პირობებში, ფერმერი იყოს კონკურენტუნარიანი. ეს არის ძალიან კარგი ხელშეკრულება, მაგრამ დაახლოებით 7-10 წელი სჭირდება, ქვეყანა რომ მოვამზადოთ. მისი ამოქმედებით დღევანდელ პირობებში, მინიმალურ, ძალიან მიზერულ სარგებელს მივიღებთ. ბევრი სამუშაოა. თუ არაფერს გავაკეთებთ და იმის იმედად ვიქნებით, რომ ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ და დედა, „კაია, აწი გაბრწყინდება იბერია“, ძალიან ვცდებით, ასე იბერია არ გაბრწყინდება.

მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია და გადამამუშავებელი მრეწველობით, ან ნატურალური პროდუქციიდან მიღებული პროდუქცია, უპრობლემოდ გასაღდება ევროპულ ბაზარზე, ამის სამწუხაროდ მივიწყებული პრეცედენტი არსებობს. 90-იან წლებში, იმ არეულობების დროს, უცხოეთიდან შემოსული ინვესტიციებით, გორის საკონსერვო ქარხანა, რომლის პროდუქციაც, 100%-იანი მოთხოვნით სარგებლობდა გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში, თუმცა, ბედოვლათი ქართველების გადამკიდე ეს უცხოელები ქვეყნიდან გააგდეს და იქ დღემდე არაფერი იწარმოება. ამ ბედოვლათ ქართველებს კი მოვლა სჭირდებათ.

**— ვის გულისხმობთ „ბედოვლათ“ ქართველებში?**

— ადგილობრივ მაღალ კლანურ ჩინოსნებს, რომლებიც რეგიონებში არიან და თბილისში, ხელისუფლებაში მყოფ მათ მხარდამჭერებს, რომლებიც დღესაც ადგილობრივ დონეებზე ისეთ სიტუაციას ქმნიან, რომ უცხოელი ინვესტორისთვის არ იყოს რეგიონალური ბაზრები ღია, რაც რეგიონებში არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. ეს კლანები ისევ არსებობენ, არც არასდროს შეწყვეტილა მათი არსებობა.

**— რამდენად არსებობს იმის პირობები, რომ ქართველ ფერმერებს თქვენ მიერ ნახსენები გარემო შევუქმნათ?**

— საქართველოში, ყველანაირი რესურსი არსებობს, კონკურენტუნარიანი, კარგი ეკონომიკა რომ შევქმნათ.

**— თუ ეს შესაძლებელია, რატომ არ გვაქვს კონკურენტუნარიანი ეკონომიკა?**

— ამას სჭირდება კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა. ცალკეული, ეპიზოდური ხასიათის გადაწყვეტილებები, კამპანიური ხასიათის პროგრამებით სერიოზული შედეგების მიღწევა შეუძლებელია. ჩვენ სწორედ ამ ერთიან ხედვაზე ვსაუბრობდით ხელისუფლების შეცვლამდე, როცა ქვეყნის განვითარების კონცეფციას ვადგენდით საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია. სერიოზული პროექტი შევიმუშავეთ, თუმცა, შემდეგ ხელისუფლებას სურვილი არ აღმოაჩნდა, რომ ამ მასშტაბის რეფორმები განეხორციელებინა. ამიტომაცაა, 2 წელი გავიდა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და შედეგები, რეალურად მიზერულია.

**— რატომ, მიზეზი რა არის?**

— არასწორი წარმოდგენები აქვთ. ფიქრობენ, რომ ცალკეული ინიციატივებით მოახერხებენ რაიმეს შეცვლას. ხელისუფლებაში არ ჰყოფნით წარმოდგენა, რომ ქვეყანა სისტემურ კრიზისშია და მას აბსოლუტურად სხვა ტიპის მართვა და რეფორმები სჭირდება.

**— პროფესიონალური კადრების დეფიციტია?**

— კადრების პრობლემა ნამდვილად არ არის, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბიძაშვილ-მამიდაშვილზე, ოჯახის მეგობარზე, დაქალსა და ძმაკაცზე შორსაც უნდა გაიხედო.

უკვე მეორე წელია, სოფლის მეურნეობაში ხორციელდება, ფაქტობრივად, არაეფექტური პროგრამები. ყველა პროგრამა ჩავარდა. არანაირი შედეგის მომტანი არ არის ეს პროგრამები. მთავრობა არ ცვლის მიდგომებს, მაშინ, როდესაც არსებობს სოფლის მეურნეობის რეფორმირების ძალიან კარგი კონცეფცია. საქმე ისაა, რომ საქართველო აგრარულ ქვეყნად ვერ იქცევა. ფაქტობრივად, ეს იქნება ძალიან დიდი სტრატეგიული შეცდომა. ის, რასაც მთავრობა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აკეთებს, დამღუპველი საქმიანობაა.

ხელისუფლებას, საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ანონიმური თამაშის წესები აქვს. იმ ინსტიტუტებს, რაზეც საბაზრო ეკონომიკა დგას, არ ავითარებს. ქვეყანაში ყველაფერი სუბიექტურ ნებაზე, უფროსზეა დამოკიდებული. ყველზე დიდი უფროსები კი, თბილისში, ხელისუფლებაში სხედან, რომლებიც არ ატარებენ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები შრომით იხეირებენ. საქართველოში უფროსი რის უფროსია, თუ არ „იუფროსა“. ამ უფროსობას კიდევ შედეგი არ მოაქვს, ე.ი. ცუდად უფროსობენ.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## მაშველებმა ყაზბეგიდან გზააბნეული ტურისტები ჩამოიყვანეს



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს მეექვსე ქვეგანყოფილების მაშველებმა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში წარმატებით ჩატარებული სამაშველო ოპერაციის შედეგად, დაბა გუდაურის ზემოთ, არაგვის ხეობის ერთ-ერთი კლდიდან გზააბნეული ტურისტები ჩამოიყვანეს.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ დაბა გუდაურის ზემოთ, არაგვის ხეობის ერთ-ერთ კლდეზე იმყოფებოდა სამი მოლაშქრე, რომლებიც ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ.

სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე გავიდა შემთხვევის ადგილზე. რთული რელიეფის გამო, სამაშველო ჯგუფმა ვერ მოახერხა ადგილამდე მისვლა, რის გამოც საჭირო გახდა სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი. მაშველებმა გზააბნეული სამი ტურისტი უვნებლად ჩამოიყვანეს თბილისში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსეთი ევროპის სტრატეგიული პარტნიორი აღარ არის



იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფედერიკ მოგერინის განცხადებით, რუსეთი ევროპის სტრატეგიული პარტნიორი აღარ არის. უკრაინული მედიის ცნობით, რუსეთთან დაკავშირებული პოზიცია მინისტრმა გაზეთ „**Corriere della Sera**“-სთან საუბრისას დააფიქსირა.

მოგერინის განცხადებით, უკრაინისთვის ევროპა „დადებითი არჩევანია“: „ეს ასეც უნდა აღიქმებოდეს. ამ იდეით ავაწყვეთ პარტნიორული ურთიერთობა მოსკოვთან. დღეს პუტინის სურვილით, ეს ურთიერთობა აღარ არსებობს. ამ დროისთვის რუსეთი აღარ არის სტრატეგიული პარტნიორი, მაგრამ აქვს სტრატეგიული დატვირთვა ჩვენს კონტინენტზე“, — აღნიშნა მოგერინიმ. (ნიუპოსტი)



## სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებით, ახალი ვებ-გვერდი ამოქმედდა

1-ლი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომლის თანახმადაც ცვლილებები შედის საქართველოში უცხოელთა შემოსვლისა და ყოფნის წესებში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალი სავიზო რეგულაციების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება საზოგადოებას შეეძლება შემდეგ ვებ-მისამართზე: **www.geoconsul.gov.ge** (ნიუპოსტი)

„ალიას“ ესაუბრება „სახალხო კრების“ წევრი, **ლაშა ამირეჯიბი**:

**— ლაშა, სარფის მხრიდან მოგვადგა მიხეილ სააკაშვილი და გაიცა შესაბამისი ბრძანებებიც. სხვათა შორის, ერთი დავალება ეხება ქვემო ქართლს, სადაც „თავისუფალმა ზონამ“ აზერბაიჯანული მოსახლეობისგან უნდა შექმნას მობილური ჯგუფები. ამ რეგიონს შენ ძალიან კარგად იცნობ, რა შეიძლება მოხდეს ამ მხრივ?**

– რაღა დაგიმალო და მიშას მოახლოება სარფის მხრიდან იყო ძალიან შეურაცხმყოფელი. ამით გვითხრა: აგერ მკიდიხართ ყველაო, დაგაფსით თავზეო, ვერც დამიჭერთ და ვერც ფეხებს მომჭამთო. არ ვიცი, მე მისი საქციელი ასე აღვიქვი. ადრეც გითხარი, რომ საქართველოში შეიქმნება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, აქედან ერთ-ერთი, რომელსაც „ივერია“ უწოდეს, გადაკეთდება პოლიტიკურ პარტიად, სადაც გაერთიანდებიან ყოფილი მინისტრები, ელჩები და ჩინოვნიკები. ასე გაიშლება დიდი ფრონტი, დასავლეთი ამათ ჯერ გრანტებით, შემდეგ კი იდეოლოგიურადაც დაეხმარება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საქართველოში სულ ორი პოლიტიკური პოლუსი დარჩება, ერთ მხარეს იქნებიან „ნაციონალები“ თავიანთი არასამთავრობოებით, მეორე მხარეს – დასუსტებული „ქართული ოცნება“. უკვე აშკარად ჩანს, რომ ამ პარტიას არ აძლიერებენ, სისხლს არ უსხამენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, არც ერთი მხარე დაიჩაგრება და არც მეორე, ასე გადაწყვიტეს ამერიკელებმა. სააკაშვილი სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებს საქართველოში, ამიტომაც შეკრიბა თავისი მომხრეები სარფში. ძალიან არ მინდა ამის თქმა, მაგრამ მე ვხედავ ამ ხელისუფლების უმწეობას. ესენი ვერ ქაჩავენ ბოლომდე, ან არ უნდათ, რომ გაქაჩონ. მიდის ისეთი ტენდენცია, რომ ეს დამნაშავეები ხელახლა გაძლიერდნენ.

**— ეს უმწეობას ნიშნავს, როცა „ნაცმოძრაობის“ ლიდერები დაპატიმრებულები არიან, ზოგი გაქცეულია და პროკურატურაც მიხეილ სააკაშვილის წითელ ცირკულარში ჩასმას ითხოვს?**



# „მიშამ გვითხრა: აგერ მკიდიხართ ყველაო, დაგაფსით თავზეო, ვერც დამიჭერთ და ვერც ფეხებს მომჭამთო“

**„საქართველოში შეიქმნება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, აქედან ერთ-ერთი, რომელსაც „ივერია“ უწოდეს, გადაკეთდება პოლიტიკურ პარტიად, სადაც გაერთიანდებიან ყოფილი მინისტრები, ელჩები და ჩინოვნიკები“**



– საერთო პროექტში მიშას პასაჟი, რა თქმა უნდა, არსებობდა, მაგრამ ის უნდა შემოსულიყო ცოტა გვიან. მოვლენები დააჩქარა ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობამ. სამწუხაროდ, დღეს ეროსის საქმე აღარავის ახსოვს, მიშას წინააღმდეგ აღძრულმა საქმემ ის მთლიანად გადაფარა. მეორე – ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ რაც არ უნდა აღძრან და რა ფერის ცირკულარშიც არ უნდა ჩასვან, მას არავინ დაიჭერს, ამის უფლებას დასავლეთი ჩვენს ხელისუფლებას არ მისცემს. სააკაშვილი დამნაშავეა, ორი აზრი არ არსებობს, მე თუ მკითხავ, ის უნდა გასამართლდეს ჰააგის ტრიბუნალზე, მაგრამ აგერ ხარ შენ და აგერ ვარ მე, კარგად დაიმახსოვრე, მიშას კიდევ დიდხანს არ დაიჭერენ და არ გაასამართლებენ. სანამ დასავლეთიდან მწვანე შუქი არ აინთება, მას ხელს ვერავინ ახლებს. აგერ მოვიდა, თურქეთიდან დაგაფსა თავზე და წავიდა უკან. „ნაციონალური მოძრაობა“ თავიდან ფეხებამდე არის დამნაშავე ორგანიზაცია, ამათაც ვერაფერს უშვრებიან, იგივე გია ბარამიძეს, გივი თარგამაძეს, რომელი ერთი ჩამოვთვალო? თუ გინდა, გირგვლიანის საქმე ავიღოთ, ცოტა დაიძრა, მელნიკოვსა და კიდევ ვილაც ზიბილურიძეს ყველაფერი დააფქვევინეს, ისევ გაჩერდნენ, მერე რაღაცას მოიფიქრებენ. ბიჭო, ყველა სამხილი გაქვს, მოწმეები არიან, ფაქტები არსებობს, გადი ბოლოში, რააა! იგივეს აკეთებენ სააკაშვილის ვარიანტში, ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა უნდა გვკვებონ წლების განმავლობაში. აგერ არ იყო სააკაშვილი სარფში? თუ დაჭერა გინდა, გადადი, სტაცე ხელი და გადმოათრიე, რას აბლატავებ? კარგი, აქეთ რომ დამნაშავეები ბლატაობენ, იმათ რატომ არ იჭერ? მაინცდამაინც უნდა გაიქცნენ, რომ მერე ძებნა გამოაცხადო? რაც შეეხება ქვემო ქართლსა და აზერბაიჯანულ მოსახლეობას, იქ ძალიან იოლად მოაწყობენ „ნაციონალები“ პროვოკაციებს, რადგან მათ ამ რეგიონში ბევრი ნარჩენი ჰყავთ. სამწუხაროდ, დღეს ამ რეგიონს ისევ ვაჟა ლელუაშვილი და დავით კირკიტაძე აკონტროლებენ, ისევ მათთან ბრძანდება ფეიქრიშვილი. ის ჯგუფი, რომელიც ქვემო ქართლს მართავდა, ისევ ფორმაშია, ისევ ყვავის. სანამ მიშა მარნეულში არ აგვაფეთქებს, მანამდე ვერ უნდა გაიგონ, რომ ქვემო ქართლში სიტუაციას აზერ სულეიმანოვი ურევს? ეს ადამიანი დღეს არის პარლამენტის „ნაციონალი“ წევრი და დიდი გავლენა აქვს ამ რეგიონში, აქვს ბერკეტები იმისთვის, რომ მთელი რეგიონი ააყროლოს. აქ ერთი ძველი ამბავიც უნდა გავიხსენოთ, როცა ხათუნა გოგორიშვილი ამბობდა, მე და უსუფაშვილმა ქვემო ქართლზე მოვილაპარაკეთ, ეს რეგიონი ჩვენ უნდა დაგვითმონო, ეს სიმართლე იყო. ადგილობრივ არჩევნებამდე „ნაციონალები“ ვაჭრობდნენ, ქვემო ქართლი მოგვეცით, ჩვენიაო. ამათ მისცეს ეს რეგიონი, რომელიც არის ხმების ბეღელი. ახლა „ნაციონალებს“ შეუძლიათ, იქ მობილური ჯგუფებიც შექმნან და კარგა გვარიანადაც აურიონ. როცა რეგიონში ასეთი „ნაციონალები“ ბოგინობენ, მაშინ ცოტა ძნელია წესრიგის დამყარება. ცოტა ხანში გამოვლენ ჯგუფებად და დაიწყება მოწოდებები: „პუტინ ხუილო“! ეს არის, პირველ რიგში, რუსების მოწვევა საქართველოში. ალბათ, გახსოვს, რა გააკეთეს პროვოკატორებმა ბათუმში, რუსებს რომ მიაყენეს შეურაცხყოფა. ეს იქნება ეთნოკონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. დაუკვირდი, მიშას გეგმაში ჯერჯერობით არ შედის სამცხე-ჯავახეთი, ანუ სომხური მოსახლეობა. როგორც ჩანს, ამას რეზერვად იტოვებს. გარდა ამისა, სომხები და აზერბაიჯანელები ერთად არ გამოვლენ, მათი კოორდინირება გაჭირდება. ამიტომ მთელი დაწოლა მაინც აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე მიდის. შეიძლება დღეს ქვეყნის არევა არც მათ უნდათ, მაგრამ ფული ისეთი რამეა, ბევრს დაუბრმავებს თვალებს.

**„მიშას მოახლოება სარფის მხრიდან იყო ძალიან შეურაცხმყოფელი. ამით გვითხრა: აგერ მკიდიხართ ყველაო, დაგაფსით თავზეო, ვერც დამიჭერთ და ვერც ფეხებს მომჭამთო“**

**„ასე გაიშლება დიდი ფრონტი, დასავლეთი ამათ ჯერ გრანტებით, შემდეგ კი იდეოლოგიურადაც დაეხმარება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საქართველოში სულ დარჩება ორი პოლიტიკური პოლუსი, ერთ მხარეს იქნებიან „ნაციონალები“ თავიანთი არასამთავრობოებით, მეორე მხარეს — დასუსტებული „ქართული ოცნება“. უკვე აშკარად ჩანს, რომ ამ პარტიას არ აძლიერებენ, სისხლს არ უსხამენ“**

**— გამოდის, რამდენიმე კაცია დასაპატიმრებელი ქვემო ქართლში?**

– დასაპატიმრებელი მარტო ქვემო ქართლში კი არა, თბილისშიც ძალიან ბევრია. სხვათა შორის, ძალიან დიდხანს ვმუშაობდი ამ რეგიონში და კარგად ვიცნობ აზერბაიჯანელებს, ადრე თუ ცოტა რიდი ჰქონდათ, წესიერად გესალმებოდნენ და თვალს გისწორებდნენ, ეს უკვე დაკარგულია, აშკარად იგრძნობა, რომ ესენი ვილაცისგან იმართებიან და არ არის ნორმალური სიტუაცია. ნერვები დაჭიმულია, ყველაფერი წკიპზეა, ერთი დაძახება უნდათ და რაღაცა მოხდება. როგორც ვიცი, ფარულად იმასაც ამბობენ, ყელში ამოგვივიდნენ ეს ქართველები, ამათი დედაცო. ამ ყველაფრის თავი და თავი ისევ „ნაცმოძრაობაა“ და არიან ის ტიპები, ვისაც ნებაყოფლობით ჩააბარეს ქვემო ქართლი. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ამ რეგიონში ძალიან რთული სიტუაციაა.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## აგროდაზღვევის პროექტი ამოქმედდა



მთავრობა აგროდაზღვევის პროექტს აამოქმედებს. სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას თქმით, აგროდაზღვევა გავრცელდება ყველა იმ პროდუქტზე, რომელზეც საქართველოში სტატისტიკურად ინფორმაცია იქნება მოძიებული.

„სუბსიდირება ხორციელდება 70-90, ზოგ შემთხვევაში 95%-მდე. ამ თანადაფინანსებასა და პროცენტის სუბსიდირებას სახელმწიფო განახორციელებს. პროექტის პარალელურად მიმდინარეობს კვლევა, რომლის შედეგები ჩვენ სექტემბრის ბოლოსთვის გვექნება. საერთო ჯამში, შევაფასებთ იმ მონაცემებს, რაც წლის ბოლოს დაგროვდება და მომავალი წლიდან უკვე ვგეგმავთ, ამას მივცეთ კანონიერი ძალა. პროექტში ჩართული იქნება ყველა სადაზღვევო კომპანია“, – განაცხადა მინისტრმა.

პროექტი მომავალი წლის 1-ელ სექტემბრამდე იმოქმედებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა.

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს, შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილებით, პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი უხელმძღვანელებს. მას 2009-2013 წლებში გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილის პოზიცია ეკავა. 2014 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე გენერალური შტაბის მრჩეველთა ჯგუფის მრჩევლად მუშაობდა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი კახაბერ ჩიხრაძე კი, ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს. ეროვნულ გვარდიაში ის სამობილიზაციო და რეზერვის სისტემის მხარდაჭერის შემუშავებაზე იმუშავებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# „კაზანტიპის“ გაუხმაურებელი სკანდალები

## „შემირცხვენია ის ქვეყანა, სადაც მთავრობა მეძავებით ცდილობს გამდიდრებას“

**რა ხდებოდა რეალურად „კაზანტიპის“ რესპუბლიკაში და გაამართლა თუ არა იმ საინფორმაციო კამპანიამ, რაც ამ ფესტივალის წინააღმდეგ მიმდინარეობდა? რას გეგმავენ სასულიერო პირები შემოდგომაზე და როგორი განწყობაა მრევლში?**

**„ალიას“ ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა გიორგი რაზმაძე ესაუბრა.**

**— მამა გიორგი, „კაზანტიპის“ ფესტივალამდე ისეთი საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობდა, რომ ყველას ჰქონდა მოლოდინი, იხილავდა დიდ აღვირახსნილობას, გარყვნილებას და ა.შ. მსგავსი რამ, როგორც ვიცით, არ მომხდარა, ყოველ შემთხვევაში ასეთი ინფორმაციები არ გავრცელებულა. თქვენ იქ იმყოფებოდით, მოხდა რამე ისეთი, რაც არ ვიცით?**

– ნამდვილად არსებობდა იმის ფაქტები, რომ განგაშად ღირდა, უკვე გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ პირველივე დღეს, 70 კაცამდე იქნა დაკავებული ნარკოტიკის გამოყენების გამო. როგორც გვითხრეს, ადგილობრივ პოლიციაში ადგილი არ იყო, ამიტომ ეს ადამიანები ზუგდიდის განყოფილებაში გადაიყვანეს. ინტერნეტსაშუალებებმა გაავრცელეს უამრავი საშინელი კადრი, რომელიც ასახავდა რეალობას, ახალგაზრდა ადამიანმა იქორწინა გოჭზე, ქალმა – ქალზე იქორწინა და კაცმა – კაცზე. მოგეხსენებათ, „კაზანტიპს“ თავისი რესპუბლიკა და თავისი კანონები აქვს, ამ ქორწინებას უფორმებდნენ ოფიციალურად. ეს იყო მცირედი ფაქტები იმ უტყუარი რეალობიდან, რომელიც მარტო მე არ ვიცი. იყო დაფიქსირებული ბევრი ინციდენტი, ნარკოტიკით გაბრუებული ხალხი გარეთ გამოდიოდა და ჩხუბობდა, დაერივნენ ახალგაზრდობას და მოხდა სერიოზული შეხლა-შემოხლა მოსახლეობასა და ამ გაბრუებულ მასას შორის. ერთ ადამიანს გულიც წაუვიდა ჩხუბის დროს. თქვენ გახსოვთ, თანასწორობის შესახებ კანონის მიღება რა ზარ-ზეიმით მოხდა, აი, ამის გამოძახილია ეს ყველაფერი. მაშინ აცხადებდნენ ჩვენი პარლამენტარები, ტყუილად გეშინიათ, ქორწინებები არ იქნება და თუ იქნება, ჩვენ პარლამენტს ვტოვებთო. ახლა შევახსენებ ბესელიას, კობახიძეს და სხვებს, სადაა პირობის შესრულება? რატომ არიან ისევ პარლამენტში? მოხდა უკვე ეს ფაქტი, კაცი კაცთან დაქორწინდა, ქალი – ქალთან, კაცი – პირუტყვთან. რატომ დუმან? ეს დუმილი ხომ მათი გამჭვირვალობის ნიშანია? როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს ილებდნენ და ჩვენ პარლამენტში ვიყავით, პირად საუბრებში ამბობდნენ, რომ, თუ ქორწინების ფაქტი დაფიქსირდება, ამას არ შევეგუებითო. ეს პრემიერ-მინისტრმაც თქვა, საქართველოში ასეთი პრეცედენტი არ დაიშვებაო. მოხდა ფაქტი, ახლა სად არიან? მე ვიცი, სადაც, ამ ადამიანებმა ოღონდ ჭამონ, სვან და ფეხებზე ჰკიდიათ სახელმწიფო. ასე რომ, მათ სინდისზეა ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში ხდება. პრემიერ-მინისტრს შეეძლო, ერთი სიტყვით მოეგვარებინა ყველაფერი, მაგრამ ყურადაც არ ილო ჩვენი შეგონება. შემირცხვენია ის ქვეყანა, სადაც მთავრობა მეძავებით ცდილობს გამდიდრებას. ის, რაც მოხდა, შემთხვევითი კი არ იყო, ზოგიერთებმა ქილიკის თემად რომ აქციეს. კარგად დაუკვირდით, 17-ში და 20-ში ჩამოწვა მთის უზარმაზარი მასა, რომელმაც მთელი დარიალის ხეობა ჩაკეტა. ეს ხალხი ელოდებოდა უამრავ ტურისტს რუსეთიდან, ძირითადი გათვლა სწორედ რუსებზე იყო, ამიტომ როცა მანქანებით უნდა შემოსულიყვნენ საქართველოში, სწორედ იმ დროს ჩაიკეტა გზა ღვთის განგებით. რატომ მაინცდამაინც 17-ში და 20-ში, ალბათ, იკითხავთ, ან რატომ 15-ში არა? ესენი ვერ აცნობიერებენ ამ საქციელის სიმძიმეს, როცა ადამიანი ისჯება, ზოგი ან ტექტონიკურ საკითხს მიაწერს, ან სხვა რამეს, მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ ამათ, თუ მაცხოვრის საფლავზე ცეცხლი გადმოდის, ამათი ლოგიკით, ეს ღვთის ნიშანი კი არა, მეხანძრეების საქმე ყოფილა. ამ ნიშნების მიუხედავად, ეს ადამიანები მაინც ვერ აცნობიერებენ ცოდვის სიმძიმეს, რა ხდება და როგორი რეაგირება მოჰყვება. მადლობა ღმერთს, რომ ბევრი ხალხი არ მივიდა, მაგრამ ვინც მივიდა, რა მოიგო? ქართული ბიზნესი გაკეთდა? საცოდავები... ხინკალს 2 ლარი დაადეს და ერთ ჭიქა ყავას – 10 ლარი, ესაა ბიზნესი?

**— თქვენ ცოტა ხნის წინ იქაურ მოსახლეობას აკრიტიკებდით, ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ხალხიც დაზარალდა და არაა გამორიცხული, აქციები მოაწყონ, დიდი თანხები გამოუტანიათ ბანკებიდან და ფესტივალის ჩავარდნის გამო ამ თანხებს ველარ იხდიან.**

– მეტის ღირსები არიან! მათ ერთი რამ ავიწყდებათ, როცა უგვანმა სააკაშვილმა განმუხურში გახსნა ბანაკი და ბავშვებს მოუწოდა ბუჩ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე







**„პრემიერ-მინისტრს შეეძლო, ერთი სიტყვით მოეგვარებინა ყველაფერი, მაგრამ ყურადაც არ ილო ჩვენი შეგონება... ის, რაც მოხდა, შემთხვევითი კი არ იყო, ზოგიერთებმა ქილიკის თემად რომ აქციეს. კარგად დაუკვირდით, 17-ში და 20-ში ჩამოწვა მთის უზარმაზარი მასა, რომელმაც მთელი დარიალის ხეობა ჩაკეტა. ეს ხალხი ელოდებოდა უამრავ ტურისტს რუსეთიდან, ძირითადი გათვლა სწორედ რუსებზე იყო, ამიტომ როცა მანქანებით უნდა შემოსულიყვნენ საქართველოში, სწორედ იმ დროს ჩაიკეტა გზა ღვთის განგებით“**

**„კაზანტიპზე“ იყო დაფიქსირებული ბევრი ინციდენტი, ნარკოტიკით გაბრუებული ხალხი გარეთ გამოდიოდა და ჩხუბობდა, დაერივნენ ახალგაზრდობას და მოხდა სერიოზული შეხლა-შემოხლა მოსახლეობასა და ამ გაბრუებულ მასას შორის. ერთ ადამიანს გულიც წაუვიდა ჩხუბის დროს“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კახეთში უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოვლინდა



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კახეთის რეგიონში, კერძოდ, მდინარე ალაზანში უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბრაკონიერების მიერ 100 მეტრი სიგრძის ხის კონსტრუქციის თევზსაჭერი, ეგრეთწოდებული ოჩხი გაანადგურეს.

აღნიშნულ მოწყობილობას ბრაკონიერები, სავარაუდოდ, ლოქოსა და სხვა თევზის სახეობების მასობრივი განადგურებისთვის იყენებენ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ანალოგიური ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილი აქვს საქართველოს სხვა რეგიონებშიც. უწყება იმედოვნებს, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ეფექტურად განხორციელებას და სამართალდარღვევათა შემაკავებელი სისტემის ჩამოყალიბებას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პირველკლასელთა რეგისტრაცია დღეს დასრულდება




განათლების სამინისტროს ცნობით, მშობლებს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო პირველკლასელთა რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ ვადებში ვერ უზრუნველყვეს შვილის სკოლაში რეგისტრაცია, რეგისტრაციის დამატებით ვადებად განესაზღვრათ 2 სექტემბერი.

რეგისტრაციისთვის საჭიროა ბავშვის მშობელმა, ან კანონიერმა წარმომადგენელმა მიმართოს სკოლას და თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, სკოლას წარუდგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაცია.

რეგისტრაციის უფლება აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც 2015 წლის 1-ელ იანვრამდე შეუსრულდებათ 6 წელი ან 2013-2014 სასწავლო წელს სწავლობდნენ კერძო სკოლის მოსამზადებელ კლასში და შეუსრულდათ 5 წელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოუწოდებს ყველა მშობელს, რომელთა შვილების ასაკიც შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სკოლაში ჯერ კიდევ არ არიან რეგისტრირებულნი, 2 სექტემბერს მიმართონ სკოლებს და არ დატოვონ შვილები ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის მიღმა. (ნიუპოსტი)

## დამწვრობის ცენტრში 52 წლის მამაკაცი გარდაიცვალა



52 წლის ვ. ნარსია, რომელმაც რამდენიმე დღის წინ, თვითმკვლელობა ორჯერ სცადა, დამწვრობის ცენტრის რეანიმაციის განყოფილებაში გარდაიცვალა. ბ. იაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრის განცხადებით, „პაციენტს კლინიკაში შემოსვლისას სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დამწვრობა ჰქონდა მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ მას რეანიმაციულ განყოფილებაში ყველა საჭირო მკურნალობა უტარდებოდა, სამწუხაროდ, პაციენტი გარდაიცვალა“, – აღნიშნა მორიგე ექიმმა.

ზუგდიდის რაიონის საავადმყოფოს დირექტორის როლანდ ახალაიას ინფორმაციით, 27 აგვისტოს, ზუგდიდში მცხოვრებმა ვ.ნ-მ ჯერ ვენები გადაიჭრა, შემდეგ კი ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა. (კვირა.ჯე)

*მეშვიდე გვერდიდან*

ქებისკენ, რუსის ჯარი შემოვიდა და გადაწვა ეს ბანაკი. წარმოიდგინეთ ახლა, იქ რომ რუსი ტურისტები ჩამოსულიყვნენ, რა მოხდებოდა? დარწმუნებული ვარ, ამას აუცილებლად გამოიყენებდა რუსეთი და რაც უკრაინაში ხდება, ორ იმდენს გაგვიკეთებდა. ახლიდან გადაწვავდნენ კი არა, სულ ჩამოგვაჭრიდნენ იმ ტერიტორიებს. ეს ხალხი მარტო დღევანდელი დღით ცხოვრობს, რა ჭამონ, სტომაქი რით გაივსონ. ამიტომ არიან მეტის ღირსები. იმ ხალხს, ვინც ასეთი გაღორებული წესით ცხოვრობს, მეტი დაემართება. ამას წინათ გავიგე, მოხუცებულმა მილიონერმა ახალგაზრდა მსახიობი მოიყვანა ცოლად. რომ გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ ამ ცოლს დაუტოვა ერთი ცენტი, დარჩა ძალლი, რომელსაც 87 მილიონი დაუტოვა, ქალმა იცით, რა ქნა? ძაღლზე იქორწინა, რომ ქონება მას დარჩენოდა. აქ ძაღლზე კი არა, ღორზე დაქორწინდნენ. ეს საცოდავები, ჰგონიათ რამე გააკეთეს ახლა, მაგრამ ღმერთი დასჯის ამ საცოდავებს!

**— მამაო, რატომ არ იღებს მსგავს საკითხებზე ხელისუფლება პასუხისმგებლობას, რატომ ირჩევს განზე დგომის პოზიციას? ეს ხომ იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ მსგავსი ღონისძიებები კიდევ არაერთხელ ჩატარდება?**

– ეკლესია ყოველთვის იმას გააკეთებს, რასაც აქამდე აკეთებდა. წარმოიდგინეთ, 15 მღვდელმთავარი იყო ჩასული ანაკლიაში, შეაგონებდნენ ადამიანებს, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა და ვინ უგდო ყური? ესენი არიან გამყიდველი ადამიანები, რომელთაც ფეხებზე დაიკიდეს ეკლესიაც და სახელმწიფოც. როცა სჭირდებათ, მაშინ დარბიან პატრიარქთან, სანთლებით ხელში. რასაც სააკაშვილის მთავრობა აკეთებდა, ხან იქით რომ დარბოდა აღდგომაზე და ხან აქეთ, იგივეს აკეთებენ ეს უგვანი ადამიანები, რომელთაც, დავრწმუნდი, რომ ზნეობა არ გააჩნიათ. მიმიფურთხებია ისეთი ქვეყნისთვის, მეძავებზე რომ არის დამოკიდებული, ფული იშოვოს. რა ფული იშოვეს? რა გააკეთეს? თავი მოიჭრეს. კიდევ უარეს შედეგებამდე მივლენ, თუ ასე გააგრძელებენ.

**— რახან ეს გაუვიდა ხელისუფლებას, უარესს იზამს?**

– საქმეც ამაშია. როგორია სასულიერო პირის მდგომარეობა, როცა ადამიანს შეაგონებს და არ ესმის, წარმოგიდგენიათ? თვითონ რომ სჭირდება, მაშინ მოდის ჩემთან და რატომ მოდის? როცა ჩემსას არ ისმენს, მე რატომ მოვუსმინო მას? ასე არ შეიძლება ცხოვრება, ასეთი ორმაგი სტანდარტით ვერ იცხოვრებენ სწორად. ეს არის უგვანო ცხოვრების წესი, მათ რა შვილები უნდა გაზარდონ? რა ქვეყანას უტოვებენ შვილებს?

**— ახლა რასაც მიყვებით, ეს პირადადაც უთხარით მათ და არ მოგისმინეს?**

– პირად საუბარში პატრიოტები და ვაჟკაცები არიან, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ცუდად იქცევიან. პირად საუბარში კობახიძეც ამბობდა, დამავალეს კანონის მიღება, თორემ მე არ მინდაო და მერე ამ კანონით ევროსაბჭოში თავს იწონებდა. რომელ კობახიძეს ვენდოთ, როდის ამბობდა მართალს? გამოდის, რომ შენთან შენია, იმასთან - იმისი და ასეთი ადამიანი როგორ შეიძლება, სანდო იყოს?

**— ამის გამო წინა ხელისუფლებას კიცხავდით და გამოდის, უარესად ესენი იქცევიან. მრევლს თუ ესაუბრებით ხოლმე ამაზე?**

– სასულიერო პირი ვარ და მე ყოველთვის მაქვს ინტენსიური საუბრები მრევლთან, ვმსჯელობთ ხოლმე, ყველაფერს შეფასებას ვაძლევთ. სააკაშვილიც კი არ კადრულობდა ასეთ რამეებს. ამას წინათ სადღაც ჯანდაბაში რომ იყო და კოსტიუმებზე რომ იძლეოდა ინტერვიუს, კოსტიუმების გამო და ბოტოქსის გამო კი არ უნდა გაასამართლოს ამ ხელისუფლებამ, ქვეყანა რომ გააპარტახა და ომი წააგო, ეს უნდა დაუმტკიცოს, მაგრამ რას აკეთებს? ტერიტორიები დაკარგა, ქვეყანა გახრწნა და კოსტიუმებზე დავიდა გამოძიება. ბოლოს ინტერვიუში თქვა, ერთი დადებითი, რაც ხდება, „კაზანტიპიაო". ნაცხროვა და სექტა რასაც ამბობს, ეს არის ტესტი.

**— კონკრეტულად რა ტესტს გულისხმობთ?**

– ქალი როცა ფეხმძიმედაა, ტესტს იტარებს ამაში დასარწმუნებლად. როცა „ნაციონალი" რამეს იწონებს, განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ, რომ ქვეყანაში მართლა ცუდი რამე ხდება, აქ მაინც უნდა გამოფხიზლდეს ხელისუფლება და მიაქციოს ყურადღება იმას, რაზე თქვეს მათ, რომ კარგია.

**— ასე მარგველაშვილზეც ამბობენ, რომ კარგია და ჩაგრავენო...**

– ეს კიდევ სხვა თემაა, მაგ უბედურს თავისი გაჭირვებაც ეყოფა. საწყალს ყველაფერი ჩამოართვეს, იმიტომაც შეძვრა რეზიდენციაში, სასაცილოა პირდაპირ!

**— მამაო სხვადასხვა სახის აქციები იწყება 6 სექტემბრიდან, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით და ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ. იცით ამის შესახებ?**

– არა, ამის შესახებ თქვენგან მესმის პირველად, მაგრამ ჩვენც ვგეგმავთ, რადგან შეგუებას არ ვაპირებთ. ეს თემა აუცილებლად წამოიწევს სრული მასშტაბით, რადგან თუ დავთმეთ, მერე უარესს გააკეთებენ და ცხოველთან ქორწინებასაც დაგვიკანონებენ. თუ ასე დაეცა საქართველო, მაშინ რად ღირს ეს ქვეყანა?

**— საპატრიარქოში რა განწყობაა?**

– რა განწყობაა, ამაზე მეტყველებს ანაკლიაში ჩასული 15 ეპისკოპოსი მრევლთან ერთად. ერთი ეპისკოპოსი რომ გეუბნება, ესაა დიდი მნიშვნელობის და 15 რომ გეტყვის, ეს ხომ უნდა გაითავისო? ამის მერე რაღა ვთქვა.

**— მამაო, მკვლელობებმა იმატა ბოლო დროს. რატომ ხდება, რისი ბრალია?**

– ეს არის დიდი ტკივილი ქვეყნისა. მე მაქვს ინფორმაცია, რომ როცა პრეზიდენტი იყო სააკაშვილი, მან მოაწერა ხელი ავაზაკების გარეთ გამოსვლას. მათთვის ეს იყო კიდევ ერთი სტიმული იმისა, რომ ბინძური ცხოვრება გაეგრძელებინათ. ეს რატომ გააკეთა იცით? ნახეთ, რა ცუდია დღევანდელი ხელისუფლებაო. ამათ ჰგონიათ, ხალხი ისევ „ნაციონალებს" დაუჭერს მხარს. ეგ დრო წავიდა. ამ კრიმინალის მატებაც სააკაშვილის ბრალია. ერთი რამეც არის, რომ ამ ადამიანების ცხოვრება ციხეში არ შეიცვლება, იქ უფრო ბოროტდება ხოლმე, უარესი ბრუნდება საზოგადოებაში. ამ ხალხს ეკლესია სჭირდება, რომ გონს მოეგოს, მთავრობა სწორედ ეკლესიის შეყვარებაზე უნდა მუშაობდეს და არა იმაზე, როგორ აჩვენოს, რომ ეკლესიას არ უჯერებს საზოგადოება. ის კი არა, რომ 15 ეპისკოპოსი ძალლივით ყეფდა და არავინ უსმენდა, არამედ პირადად უნდა იძლეოდეს მაგალითს, როგორ სცემს პატივს ეკლესიას.

**— სააკაშვილზეც გკითხავთ, სარფში საკმაოდ ღიად გააკეთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოწოდება, ელოდებით მის გააქტიურებას ამ შემოდგომაზე?**

– ახლა ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს, ერთი დადებითი რაც შეიძლება, მოხდეს, არის ის, რომ როდესმე საზღვარს რომ გახსნიან, ბევრი ნაგავი გაედინება ქვეყნიდან ისევე, როგორც ეს ნაგვის ყუთი სააკაშვილი წავიდა საქართველოდან. მხოლოდ მერე გვექნება მშვიდი ცხოვრება, მანამდე არაფერი გვეშველება, მათი ადგილი საქართველოს ციხეებშიც არაა, მთვარეზე უნდა გადაასახლონ. რაც შეეხება პროვოკაციებს, ეს უსათუოდ იქნება, ორმაგი სტანდარტებით მყოფი უზნეო ხელისუფლება კი არ დაიჭერს მას. ნაცხროვას ჰქონდა გათვლა, რომ 30 წელი უნდა ემართა ქვეყანა, ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ, რომ იძალადონ და სადავეები ჩაიგდონ ხელში. თუ ასეთი რამ მოხდა, საქართველო დიდხანს ვერ იარსებებს. მყავს მრევლში ადამიანები, რომელთაც ერთგულების ფიცი აქვთ „ნაციონალების" მიმართ, ზოგს მართლა სჯერა მათი ნაწილი ვალდებულია მათ წინაშე. ამიტომ ვეძახი მათ სექტას, თვალებზე ლიბრი აქვთ, ყურები დაცული და არაფერი არ ესმით. მათთვის სააკაშვილი ღმერთია და პარტია – სამოთხე.



**„სააკაშვილიც კი არ კადრულობდა ასეთ რამეებს. ამას წინათ სადღაც ჯანდაბაში რომ იყო და კოსტიუმებზე რომ იძლეოდა ინტერვიუს, კოსტიუმების გამო და ბოტოქსის გამო კი არ უნდა გაასამართლოს ამ ხელისუფლებამ, ქვეყანა რომ გააპარტახა და ომი წააგო, ეს უნდა დაუმტკიცოს, მაგრამ რას აკეთებს? ტერიტორიები დაკარგა, ქვეყანა გახრწნა და კოსტიუმებზე დავიდა გამოძიება"**



**„თქვენ გახსოვთ, თანასწორობის შესახებ კანონის მიღება რა ზარ-ზეიმით მოხდა, აი, ამის გამოძახილია ეს ყველაფერი. მაშინ აცხადებდნენ ჩვენი პარლამენტარები, ტყუილად გეშინიათ, ქორწინებები არ იქნება და თუ იქნება, ჩვენ პარლამენტს ვტოვებთო. ახლა შევახსენებ ბესელიას, კობახიძეს და სხვებს, სადაა პირობის შესრულება? რატომ არიან ისევ პარლამენტში?"**

**„მყავს მრევლში ადამიანები, რომელთაც ერთგულების ფიცი აქვთ „ნაციონალების" მიმართ, ზოგს მართლა სჯერა მათი, ნაწილი ვალდებულია მათ წინაშე. ამიტომ ვეძახი მათ სექტას, თვალებზე ლიბრი აქვთ, ყურები დაცული და არაფერი არ ესმით. მათთვის სააკაშვილი ღმერთია და პარტია — სამოთხე"**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „სააკაშვილთან დაკავშირებული პროცესი კანონის უმაღლესი სტანდარტის შესაბამისად უნდა წარიმართოს"



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული პროცესი მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის უმაღლესი სტანდარტის შესაბამისად უნდა წარიმართოს.

„მნიშვნელოვანია, ასევე, ბალანსი იყოს დაცული, ერთი მხრივ, საქართველოსთვის მნიშვნელოვან შიდა საკითხსა და მეორე მხრივ, ერთობისა და თანამშრომლობის აუცილებლობას შორის, რაც საქართველოსთვის და მისი მეზობლებისთვის აქტუალურია რეგიონში კრიზისული სიტუაციების დროს", – განაცხადა ნორლანდმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მესტიაში ნაცემი პოლიციელების საქმეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა



მესტიის პოლიციის ხელმძღვანელებმა სამარლანიშვილმა და ჯაფარიძემ თავისივე თანამშრომლები ჭანტურია და ყორშია სცემეს. ამ უკანასკნელს ლოყა აქვს გახეთქილი. ინფორმაციის თანახმად, პოლიციის უფროსის მოადგილე ჯაფარიძე მესტიის საავადმყოფოში დაშავებულ პოლიციელებს გინებით აიძულებს ჩვენების შეცვლას.

დაშავებული პოლიციელები ცდილობდნენ მესტიიდან წამოსვლას, მაგრამ პოლიციის უფროსის მოადგილე საავადმყოფოდან გასვლის შემთხვევაში ანგარიშსწორებით ემუქრებოდა. სოფელ ბეჩოსთან ნაცემ პოლიციელებს გზა გადაუკეტეს და აიძულებენ მანქანებიდან გადმოსვლას.

თავად ყორშია ადასტურებს, რომ პოლიციის უფროსმა სამარლანიშვილმა და მოადგილე ჯაფარიძემ სცემეს. იგივეს ადასტურებს კაპიტანი, უფროსი ინსპექტორი ზვიად ჭანტურია.

სახის არეში, კერძოდ ლოყასა და ტუჩზე, დაზიანებებს ადასტურებს მესტიის საავადმყოფოს ექიმიც, რომელმაც დაზარალებულს ნაკერები დაადო.

რომან ყორშიას თქმით, მას ორჯერ სცემეს და დილეგშიც ჰყავდათ. საავადმყოფოში მიუვარდა მოადგილე ჯაფარიძე და აიძულებდა ჩვენების შეცვლას. მათ შეძლეს წამოსულიყვნენ ქუთაისისკენ ექსპერტიზაზე, მაგრამ გზაში შეაფერხეს.

ჭანტურია და ყორშია რამდენიმე თვის წინ არაკეთილსაიმედოობის გამო სამეგრელოდან სვანეთში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი მოკვლევა დაიწყო.

„მესტიაში მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მას სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა იძიებს. ფაქტთან დაკავშირებით გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი მოკვლევა დაიწყო. ღამევე მოხდა ინციდენტში მონაწილე ყველა პირის გამოკითხვა", – აცხადებენ შსს-ს პრესსამსახურში. (ნიუპოსტი)

# პედაგოგები განათლების მინისტრის გადადგომის მოთხოვნით აქციებს იწყებენ

**29 აგვისტოს განათლების სამინისტრომ იმ კანდიდატთა და სკოლების სია გამოაქვეყნა, სადაც ეს კანდიდატები სამეურვეო საბჭოებმა სკოლების დირექტორებად უნდა აირჩიონ. რაოდენ დიდი იყო 116-ე სკოლის დირექტორის დიმიტრი მეჭურჭლიშვილის გაოცება, როცა ამ სიაში საკუთარი თავი ვერ აღმოაჩინა, არადა სკოლის პედაგოგების განცხადებით, ეს პიროვნება, არც განათლებითა და არც კომპეტენციით თავად სამინისტროს კადრებს არ ჩამოუვარდება.**

**რატომაც „დაისაჯა" დირექტორი, ამას ამავე სკოლის პედაგოგი, „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის" თავმჯდომარე დავით ფერაძე გვეტყვის:**

– მას შემდეგ, რაც ქალბატონი თამარ სანიკიძე მოგვევლინა მინისტრად, განათლების სისტემა შევიდა არნახულ კრიზისში. ჩემი ინფორმაციით, სკოლის მთლიანი სეგმენტი და მასწავლებლები არიან ძალიან უკმაყოფილო და ტემპერატურა ნელ-ნელა მაღლა იწევს სანიკიძის საწინააღმდეგოდ. ეს ქალბატონი გართულია შაშკინისეულ ინტრიგების ხლართვაში. სამინისტროში არსებობს ორი დაჯგუფება: ერთი, რომელიც მინისტრის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მაგრამ ვერ ერევა სანიკიძეს და, მეორე, რომელიც მას ექვემდებარება. სამინისტრო გადავიდა არნახულ დიქტატზე. სამინისტროს თანამშრომელთა 70% დასაქმებულია ამ უწყების გენერალურ ინსპექციაში, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს შეიძლება, დაესხას სკოლას თავს და მიდის დოკუმენტების შემოწმება, ვის უწერია ზედმეტი ორიანი, რომ მერე ამის მიხედვით სკოლების პასუხისგების საკითხი დააყენონ.

**— შეგიძლიათ, კონკრეტულად დამისახელოთ ამ დაჯგუფების მონაწილენი?**

– ამ ჯერზე ამისგან თავს შევიკავებ ისევ მათ გამო, მაგრამ ისინი რომ არსებობენ, ფაქტია. თემას დავუბრუნდები: 29 აგვისტოს დასრულდა საჯარო სკოლების დირექტორების საბოლოო შერჩევა და უკვე დაიწყო მათი სკოლებისთვის წარდგენა. არნახული დარღვევებით წარიმართა დირექტორთა კონკურსის ორივე ეტაპი და მესამე ეტაპზე, უკვე ამ დირექტორების წარდგენის დროს, იყო ასევე უპრეცედენტო დარღვევა. სკოლებში წარადგინეს დირექტორები, რომლების პროგრამებს საერთოდ არ იცნობენ სკოლები და მათი სამეურვეო საბჭოები და, რის მიხედვით და რა პრინციპით უნდა აირჩიონ ეს ახალი დირექტორები, კაცმა არ იცის.

რატომ არის დიქტატის მცდელობა? იმიტომ, რომ მასწავლებელმა ვერ გაბედოს ხმის ამოღება და კვლავ დარჩეს იმ ხელფასის ამარა, რომლითაც თავის გადარჩენა ფიზიკურად შეუძლებელია და საცოდავი პედაგოგი იმ 300 ლარით აუცილებლად მოკვდება. ყველაფერი ამის გამო მივედი დასკვნამდე, რომ სანიკიძე უნდა გადადგეს. ახლა რა ხდება: მოკლედ, მე ვმუშაობ 116-ე საჯარო სკოლაში და ამ სკოლის დირექტორი შეეწირა ჩემს აქტივობას, იმას რომ მე პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრი მაქვს და იმას, რომ ვითხოვდი და ვითხოვ პედაგოგებისთვის ხელფასის გაზრდას იმ ოდენობამდე, რომ პედაგოგმა თავი ირჩინოს. ეს ადამიანი გახლავთ დიმიტრი მეჭურჭლიშვილი და მე მომაწოდეს სამინისტროდან ინფორმაცია, რომ გაზაფხულზე ის დაიბარეს სამინისტროში და დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა დაუწყეს საუბარი, რა ფორმით შეიძლებოდა, თავიდან მოვეშორებინე. „ბუნტოვშიკს" მიწოდებენ განათლების სამინისტროში, ამიტომ საშიში ვარ თურმე მათთვის და დროულად უნდა მოვიშოროთო. ჩემს დირექტორს უთქვამს, ფერაძეს კანონდარღვევით ვერ გავათავისუფლებო, მაგრამ ამ ადამიანებმა მაინც მოახერხეს ჩვენს შორის ურთიერთობის დაძაბვა. მეორედ თურმე ისევ შეიკრიბნენ სამინისტროში და სანიკიძის დაჯგუფება თურმე ამბობდა, რომ დიმიტრი მეჭურჭლიშვილი რომელიმე სხვა სკოლაში წამოვაყენოთ კანდიდატად, ამ სკოლაში კი შევუშვათ ისეთი დირექტორი, რომელიც ფერაძეს ჩაუსაფრდება და სკოლიდან გაუშვებსო. როგორც ამ შეკრებაზე მყოფებმა გადმომცეს, იქ სხვა ჯგუფმა განაცხადა, რომ ფერაძის განთავისუფლებით გააღიზიანებთ პედაგოგებს და შეიძლება, აქციები დაიწყოსო. ეს მართალია, რადგანაც, თუ მართლაც გამომაძევეს სკოლიდან, რატომ ჰგონიათ, რომ გავჩუმდები? სკოლაში მომუშავე ვყვირი და მერე რაღა გამაჩუმებს? საქმე იმით დასრულდა, რომ ამ ამბავს შესწირეს დიმიტრი მეჭურჭლიშვილი და არსად არ



დააბრალებს მის მოყვანილ დირექტორს და ასე. 6 სექტემბერს ჩვენ ვაპირებთ პედაგოგების ყრილობის მოწვევას და ამ ყრილობაზე სამი მოთხოვნა გვინდა წამოვაყენოთ: პირველი – ხელფასების ზრდა. მეორე – სასკოლო სისტემაში დეცენტრალიზაციის დაწყება და მესამე, მინისტრ სანიკიძის გადაყენება, თუკი ყრილობა წამოვა ამ საკითხზე. ყრილობას საპროტესტო აქციები მოჰყვება და თუკი საპროტესტო განწყობა გაიზრდება, მშვენივრად მოგვარდება ყველაფერი და შეასრულებენ ყველაფერს იანვრიდან მაინც. მაგრამ, თუკი პედაგოგები არ გამომყვებიან, მე ახალ დირექტორს დავუტოვებ სკოლას და ჩემი გზით წავალ, ამ გზას კი საიდუმლოდ შევინახავ. რადგანაც თუკი მასწავლებლებს არ აინტერესებთ თავისი ბედი და სამინისტროც ისე გვიპარტყუნებს თავში, როგორც მოუნდება, არ მინდა ასეთ სამინისტროს ვემსახურო.

წარადგინეს დირექტორად. სკოლამ გააპროტესტა დირექტორის ამბავი, აქცია მოაწყვეს განათლების სამინისტროსთან და შეხვდნენ სანიკიძეს, რომელმაც დირექტორის განთავისუფლების მიზეზად დაასახელა, რომ ამ კაცმა ვერ წარადგინა სკოლის პროფესიული განვითარების სათანადო სტრატეგიული გეგმა. არადა მეჭურჭლიშვილი ამ საქმის სპეციალისტია და მის მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოთი გაიარეს ტრენინგები დანარჩენმა დირექტორებმა. აქციის წევრები არ ვაპირებთ სკოლაში შესვლას და გაკვეთილების ჩატარებას, თუკი სხვა დირექტორს მოგვიყვანენ და რაში გადაიზრდება ეს ყველაფერი, ასეთ გამწვავებულ ფონზე, არ ვიცი. სავარაუდოდ, თუკი სხვა დირექტორს მოგვიყვანენ, 15 სექტემბრიდან სასწავლო პროცესი 116-ე სკოლაში არ განახლდება.

ჩემი ინფორმაციით, დირექტორის ეს ამბავი მოხდა უშუალოდ სანიკიძის ჩარევით და ალბათ, გენერალური ინსპექციის წარმომადგენლის ალექსანდრე ონოფრიშვილის რჩევითაც. მინისტრი დირექტორის დაბლოკვას აბრალებს კომისიას და მე რომ სკოლიდან გამომიშვებს, ამას

**კომენტარისთვის დავუკავშირდით დიმიტრი მეჭურჭლიშვილს:**

**— მართლაც, ფერაძის გამო მოხდა თქვენი განთავისუფლება?**

– აბსოლუტურად მართალია. ესენი მთხოვდნენ, მიიღეთ გადაწყვეტილება ფერაძეზეო, მაგრამ ფერაძე სახელმწიფო სტანდარტებიდან გამომდინარე სერტიფიცირებული პედაგოგია, სახელმძღვანელოს ავტორი და ბავშვებს უყვართ.

**— ვინ მოითხოვდა თქვენგან პედაგოგის გაშვებას?**

– გენერალური ინსპექცია, რომელიც უკანონოდ და არალეგალურად შემოვიდა ჩვენთან მაშინ, როცა დავით ფერაძემ აქცია ჩაატარა სამინისტროსთან და უპრეცედენტო ამბავი მოხდა: პედაგოგის დაგვიანებისთვის სკოლას გამოუცხადეს გაფრთხილება და ესაა კურიოზი განათლების სისტემაში! რა შუაში იყო სკოლა? ისინი პირდაპირ ითხოვდნენ, მიიღეთ ამ პედაგოგის მიმართ გადაწყვეტილებაო. ფერაძის აქტივობის გამო სულ გვამოწმებდნენ და სულ იყო ლაპარაკი, ფერაძე როგორ არის? მოგვიკითხეთ ფერაძე. ანუ, ამით მიმანიშნებდნენ, რომ დათო იყო გასათავისუფლებელი. მინისტრი 116-ე სკოლის გაგონებაზე სკამიდან ვარდებოდა, რადგანაც მას, როგორც საჯარო მოხელეს, არ აქვს თმენის ვალდებულება. ამიტომ ესაა ერთადერთი მიზეზი იმისა, რაც მოხდა.

**ვუკავშირდები განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს, ნატა ასათიანს:**

– 1-ელ სექტემბერს მინისტრი შეხვდა პედაგოგებისა და მშობლების წარმომადგენლებს, რომლებსაც აინტერესებდათ, მოქმედი დირექტორი რატომ არ წარადგინა კომისიამ სამეურვეო საბჭოს წინაშე. საუბრის შემდეგ მათ მიიღეს ამომწურავი პასუხი მინისტრისგან, რატომ არ მოხდა დიმიტრი მეჭურჭლიშვილის წარდგენა 116-ე სკოლაში. კომისიის დასკვნა უკავშირდებოდა დირექტორის ხედვებს ამ სკოლასთან მიმართებაში, ბატონ დიმიტრის შეუძლია, კომისიის ოქმი და ვიდეოჩანაწერი გამოითხოვოს და ამ ფორმით დაამტკიცოს, იყო თუ არა უსამართლო კომისიის დასკვნა.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ჭორვილელი პათოლოგისა" და მისი მოურავის მძევლები



„ნაციონალური მოძრაობის" წევრი ზაზა ბიბილაშვილი გაეროს კლიმატის ცვლილებების სამიტზე პრეზიდენტის გამგზავრებასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას სოციალურ ქსელში ეხმაურება: თენგიზ ფხალაძე: „პრეზიდენტმა გაერო-ს გენერალურ მდივანს დასტური გაუგზავნა, რომ კლიმატის ცვლილების სამიტზე სიტყვით გამოვა". დავით ზალკალიანი: „კლიმატის ცვლილებების შესახებ გაერო-ს სამიტზე სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოვა". მოკლედ, ჩვენი პრეზიდენტი „დედოვშინის" მსხვერპლია, ჩვენ კი უბრალო მოქალაქეები – ჭორვილელი პათოლოგისა და მისი მოურავის მძევლები", – წერს ბიბილაშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...




## სარეკლამო შეტყობინების გამო კომპანიებს პასუხი მოეთხოვებათ

საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, 1-ლი სექტემბრიდან მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, კომპანიებს გამარტივებული ფორმით, ნებისმიერ დროს, მოსთხოვონ მათი მონაცემების გამოყენების შეწყვეტა და მათთვის არასასურველი სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა.

თუ კომპანიები მოქალაქეთა მიმართვაზე სათანადო რეაგირებას არ განახორციელებენ, 1-ლი ნოემბრიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, განცხადებით მიმართონ პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატს. (ნიუპოსტი)

## რაულ ხაჯიმბა გულის შეტევით გარდაიცვალა?



გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ გულის შეტევა მიიღო.

როგორც „ნიუპოსტს" აფხაზეთში მცხოვრებმა აცნობა, არსებობს ინფორმაცია, რომ ხაჯიმბა გარდაიცვალა, თუმცა, წყაროს თქმით, ეს ჯერჯერობით არ დასტურდება.

„არის საუბრები, რომ ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლება ამას შეგნებულად მალავს. არძინბას სიკვდილსაც ასე არ მალავდნენ?", – ამბობს წყარო. (ნიუპოსტი)

# ვის უნდა გამოაწერინოთ რეცეპტი და რომელ წამლებზეა დეფიციტი?

## „ალიას“ კითხვებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე პასუხობს



**„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონში“ ცვლილების მიხედვით, რომელიც ძალაში 1-ლი სექტემბრიდან შევიდა, ურეცეპტოდ გაცემის აკრძალვას ე.წ. მეორე კატეგორიის მედიკამენტები, მათ შორის საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები (გარდა მცენარეული პრეპარატებისა), ანტიდეპრესანტები, მიკრობების საწინააღმდეგო პრეპარატები სისტემური გამოყენებისთვის, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები და იმუნომოდულატორები, საგულე გლიკოზიდები, ანტიარითმიული და ანტიჰიპერტენზიული პრეპარატები, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები, საინექციო წამლის ფორმები, ვიტამინების ნაწილი და სხვა სახის მედიკამენტი ექვემდებარება. მომხმარებლებს რეცეპტი დასჭირდებათ ისეთი პოპულარული მედიკამენტების შეძენისას, როგორიცაა „ნიმესილი“, „კეტონალი“ (ამპულებში), „გლუკოზა“, „დიმედროლი“, „სუპრასტინი“ (ამპულებში), „ანალგინი“ (ამპულებში), „სტრეპტომიცინი“, „ერითრომიცინი“ (ამპულებში), და სხვა, სულ 6209 დასახელების მედიკამენტი მეორე ჯგუფიდან.**

**რა გზა უნდა გაიაროს პაციენტმა რეცეპტით წამლის ყიდვამდე და იქნება თუ არა ეს დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან?**

**„ალიას“ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ზაზა სოფრომაძე ესაუბრა:**

**— ბატონო ზაზა, როგორც კი თქვენი სამინისტროს ინიციატივა ძალაში შევიდა, საზოგადოებაში დაბნეულობა შეინიშნება. რატომ გახდა აუცილებელი ასეთი სწრაფი ცვლილება სატესტო რეჟიმის გარეშე?**

– ეს დაბნეულობა, გარკვეულწილად, სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. სიახლეებს, როგორც წესი, თავიდან გაურკვევლობები ახლავს ხოლმე. დაიბნა სააფთიაქო ქსელიც, რომელსაც შეიძლება საქონელბრუნვა შეუმცირდეს ამ ახალი წესების დანერგვით და მომხმარებელიც, რომელიც უშუალოდ მოიხმარს მედიკამენტს და უხდება ახალ რეგულაციებთან შეგუება მაშინ, როცა თითქოს დალაგებული იყო ყველაფერი. რეცეპტის დაკანონება იმას კი არ ნიშნავს, რომ ამით ვინმეს გაუიოლდა რაღაც მოქმედება, ან გაურთულდა, არამედ ეს იქნება აუცილებელი ელემენტი ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის. რეცეპტის დაწერა ექიმის მხრიდანაც ნიშნავს იმას, რომ ის გარკვეულწილად პასუხისმგებლობას იღებს თავის მოქმედებაზე. მკურნალობის ხარჯებში საშუალო სტატისტიკურად, დაახლოებით 70% მოდის მედიკამენტზე, არსად არ იხარჯება იმდენი რესურსი ფინანსურად, რამდენიც საქართველოში. მსოფლიოში ერთ-ერთი პირველები ვართ.

**— ამით რის თქმა გსურთ?**

– იმის, რომ რეგულაციები არ არსებობდა და ეს ყველაფერი კონტროლირებული არ იყო აქამდე. ეს იყო მავნე ინერცია, რომელსაც, ალბათ, სოციალური ფონიც უწყობს ხელს და ადამიანი იქცეოდა ასე: თუ სჭირდებოდა მკურნალობა, ექიმთან კი არ მიდიოდა, არამედ რჩევას ეკითხებოდა მეზობელს, მეგობარს ან ძველ გამოცდილებას ენდობოდა და ამ კითხვა-კითხვით მიმართავდა თვითმკურნალობას.

**— კი, მაგრამ ეს ხომ იმიტომ უფრო ხდებოდა, რომ ექიმთან მისვლა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ახლა ადამიანმა, რომელსაც აქვს გრიპი, უკვე იცის, რა წამალი მიიღოს და თქვენ აიძულებთ, ჯერ ექიმთან მივიდეს, მერე იყიდოს წამლები, დროსთან ერთად ეს ხომ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული?**

– მოდით, განვიხილოთ ეს მაგალითი, მე, როგორც ექიმი, გირჩევთ, ერთხელ მაინც უბნის ექიმმა გაგსინჯოთ, ვიზიტი იქნება უფასო, მოგისმენთ და დაცული იქნებით იმისგან, რომ პროცესი არ გავრცელდეს და ბრონქებზე არ გადავიდეს. მერე გადავა ფილტვების ანთებაში და მივიღებთ ცუდ შედეგს. შეიძლება, არც გავრცელდეს, მაგრამ არის დიდი შანსი, რომ ასე მოხდეს. როცა ექიმი ნახავს პაციენტს, ის გამოწერს შესაბამის ანტიბიოტიკს. ის იღებს პასუხისმგებლობას, როცა მოქალაქეს რამე დაემართება და მისი დაავადების მართვა არ მოხდება სტიქიურად, არამედ იქნება კონტროლირებადი.

**— მითხარით, ადამიანმა რა გზა უნდა გაიაროს აფთიაქამდე?**

– თუ ადრე კერძო სადაზღვევო კომპანიები იყვნენ შუალედური რგოლები, ახლა პირდაპირ მყარდება კავშირი სახელმწიფოსა და მომხმარებელს შორის. ყველა გადმოვიდა ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში. ერთ-ერთი მთავარი დადებითი მოვლენა არის ის, რომ არჩევანის თავისუფლება გეძლევათ. საყოველთაო დაზღვევით, ყველა მოქალაქეს შეუძლია, ამოირჩიოს სტაციონარი, რომელსაც მიმართავს. ვიზიტი ოჯახის ექიმთან ავადობის შემთხვევაში არის უფასო, ფულს არ იხდით.

**— წელიწადში რამდენჯერ?**

– რამდენჯერაც დაგჭირდებათ. თუ თქვენ ხართ ავად, რამდენჯერაც გჭირდებათ, იმდენჯერ მიხვალთ ოჯახის ექიმთან, ამაში პოლიკლინიკა იღებს თანხას სახელმწიფოსგან, ხოლო პაციენტისთვის იქნება უფასო. შესაბამისად, რეცეპტის წერისა და ამობეჭდვის სტილიც იცის ყველა ექიმმა, შესაძლოა, მცირეოდენი ხარვეზები გაჩნდეს, მაგრამ საერთო ჯამში, ეს თემა უნდა დამუშავდეს. წლების მანძილზე ექიმების დიდი ნაწილი რეცეპტის წერას გადაეჩვია, არადა, ამასაც თავისი წესი აქვს, მერე აძლევს პაციენტს და ეს პაციენტი მიდის აფთიაქში.

**— იქნებ ეს მედიკამენტები სულ მჭირდება და ყველა ჯერზე ექიმთან უნდა ვიარო?**

– თუ არის ქრონიკული ავადმყოფი და ერთი და იგივე მედიკამენტი სჭირდება, ამ შემთხვევაში ეს რეცეპტები იძლევა იმის საშუალებას, რომ მთელი წლის განმავლობაში ერთხელ გამოწერილი რეცეპტით იყიდოს წამლები პაციენტმა. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ წელიწადში ერთხელ ყველა, მათ შორის ქრონიკული ავადმყოფიც, უნდა მივიდეს ოჯახის ექიმთან, რადგან ეს მას წაადგება. შეიძლება, საუბარი იყოს დოზირების ცვლილებაზე, ან სხვა მედიკამენტის ჩანაცვლებაზე, ამიტომ ეს პროცესი აუცილებელია.

**— სასწრაფოს ექიმს თუ შეეძლება რეცეპტის გამოწერა?**

– მას ადგილზე რეცეპტის გამოწერის უფლება არ აქვს, მას აქვს მთელი ნაკრები მედიკამენტებისა, რომლითაც შეუძლია დახმარების აღმოჩენა ავადმყოფისთვის, იქვე ჩაუტარებს პირველად მკურნალობას. თუ გადასაყვანია სტაციონარში, უნდა გადაიყვანოს, თუ არადა, უნდა მისცეს რეკომენდაცია, ნახოს უბნის ექიმმა. თუ არ შეუძლია პირადად მივიდეს მასთან, მაშინ უბნის ექიმი თავად მივა და ადგილზე გასინჯავს.

**— შეგიძლიათ, დამარწმუნოთ, რომ ეს ინიციატივა არ გაზრდის ბიუროკრატიას და დამატებით ხარჯებს არ გააჩენს ოჯახში?**

– სწორად მართვის პირობებში დამატებითი ხარჯები არ იქნება, ამ ახალი რეგულაციების შემოღება პირდაპირ არის დაკავშირებული დაავადების სწორ მართვასთან, ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან.

**— სოფელში ცხოვრობენ ასაკოვანი პენსიონერები, რომელთაც კლინიკაში მისვლა და რიგში დგომა არ შეუძლიათ. მათზე თუ იქნება ეს რეგულაციები მორგებული?**

– ამისთვის არსებობს ბინაზე გამოძახება, რაც უფასოა.

**— თუ არ აქვს ადამიანს დაზღვევა, როგორ მოიქცეს?**

– არ მეგულება ერთი ადამიანიც კი, რომელიც დაზღვეული არაა. თუ არ აქვს კერძო დაზღვევა, ის სახელმწიფო დაზღვევის სისტემაში იქნება. ეს არის ავტომატურ რეჟიმში, არაა აუცილებელი, ვინმე სადმე მივიდეს, დარეგისტრირდეს. თუ არ იქნება დარეგისტრირებული, იმავე მომენტში მოინახება ბაზაში და მოხდება აღრიცხვაზე აყვანა. ანუ თუ ადამიანი დაზღვეული არაა და მას რამე შეემთხვევა, პირველივე შემთხვევისთანავე აიყვანენ ბაზაში და აღმოუჩენენ საჭირო დახმარებას.

**— თუ გაიარეთ ტესტი, როგორ შეეგუება ამას საზოგადოება მარტივად?**

– ეს გადაწყვეტილება მომენტალურად არ მიგვიღია. ჩვენ არ დაგვრჩენია არანაირი მხარე, ვისთანაც არ გვქონოდა შეხვედრა ამ თემაზე. დღესაც მოქმედებს სამინისტროში ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებთან ტრენინგებს ატარებს, რათა გაუგებრობები არ იყოს. ყველა სამედიცინო დაწესებულებას მივამაგრეთ ადამიანები, რომ რიგები არ იყოს. მხოლოდ ტექნიკური ხასიათის პრობლემები შეიძლება გაჩნდეს.

**— გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ აფთიაქებში მედიკამენტების კრიზისია, რიგებია...**

– გარწმუნებთ, არანაირი კრიზისი არ არის. არც მოხდება. რამდენიმე მედიკამენტზე არის დეფიციტი, რადგან ის ზოგიერთ აფთიაქში აღარ არის, მაგრამ სხვა ფილიალში შეიძლება მისი შეძენა. დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, მაგალითად, პრეპარატ „ნიმესილზე“. მაქვს ინფორმაცია, რომ უკვე შემოტანილია საქართველოში და ერთ-ერთი სააფთიაქო ქსელის საწყობშია. ვერ ასწრებენ მის განაწილებას უცებ და ამიტომ არის შეფერხება. ისე, სიტყვას მოჰყვა და სულაც არაა „ნიმესილი“ უსაფრთხო პრეპარატი, ბევრი გვერდითი მოვლენა ახლავს და ზოგ ქვეყანაში შეჩერებულია მისი რეალიზაცია, მაგრამ საქართველოში პოპულარულია, ეფექტურია. მე ვფიქრობ, რომ განსაკუთრებული პრობლემები არ იქნება და აჟიოტაჟიც ჩაცხრება, რადგან ახლა, რახან სიახლეა, არსებობს დაბნეულობა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინელი სამხედროები ლუგანსკის აეროპორტიდან გავიდნენ



უკრაინელმა სამხედროებმა ლუგანსკის აეროპორტიდან უკან დაიხიეს. რაც რუსი ტერორისტების აეროპორტზე იერიშის მიტანის შემდეგ, შესაძლო შეჭრის თავიდან აცილების მიზნით იყო განპირობებული.

ეს ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში უკრაინელ სამხედროებსა და ტერორისტებს შორის მთელი ღამის განმავლობაში შეიარაღებული ბრძოლა მიმდინარეობდა.

მიმდინარე მოვლენებს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გამოეხმაურა და ორივე მხარეს მინსკში შეხვედრისკენ მოუწოდა, რათა ერთიანი პოზიციის შეჯერება მოხდეს და მიღწეულ იქნას შეთანხმება „ცეცხლის შეწყვეტის“ თაობაზე. (ნიუპოსტი)



## ჟურნალისტი თეა ასათიანი გარდაიცვალა

1-ლი სექტემბერს, დილით, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი თეა ასათიანი გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, ჟურნალისტი ერთი წლის განმავლობაში უკურნებელ სენს ებრძოდა. (ნიუპოსტი)

**„ალია“ მწუხარებას გამოთქვამს კოლეგის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და გაზეთ „ასავალ-დასავალს“.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დაჩი დარჩიას მკვლელობისთვის ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



დიჯეი დაჩი დარჩიას მკვლელობისთვის ბრალდებულ პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. დარჩიას ადვოკატი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და მის გასაჩივრებას აპირებს.

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ არ ცნობს. აქედან გამომდინარე, ალტერნატივის სახით მოვითხოვეთ გირაო, რაც სასამართლომ არ დაგვიკმაყოფილა. განაჩენს შემდგომ ინსტანციაში გავასაჩივრებთ“, – განაცხადა ადვოკატმა.

დიჯეი დაჩი დარჩია 29 აგვისტოს მეტრო „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ცივი იარაღით მოკლეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მოტყ...იათ პატრონი!“



ვახტანგ რჩეულიშვილი პრეზიდენტ-სა და პრემიერს შორის ვიზიტებთან დაკავშირებულ გაუგებრობას „ფეისბუკის“ გვერდზე ეხმაურება:

„გამოვშტერდი! ან მე ვარ მართლაც შტერი და არაფერი მესმის, ან პრემიერ-პრეზიდენტ-მინისტრებიანად არიან შტერები! რა უბედურებაა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დელეგაციის ხელმძღვანელზე კამათი? თუ ვერ გაარკვიეს საკუთარი სტატუსი, ბოლოს და ბოლოს, თანახელმძღვანელებად გაიფორმონ თავი, ასეთები გვინახავს? მაგრამ თუკი საგარეო წარმომადგენლობის ფუნქციას ჩამოართმევ პრეზიდენტს, მაშინ რაღად გვინდა პრეზიდენტი საერთოდ? სიმბოლურად მართლაც მეფე ავირჩიოთ და გვეცოდინება, რომ ფუნქციაც დიდი არაფერი ექნება, გარდა სიმბოლურისა. მარგველაშვილი არის საყოველთაო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი და მისი ასეთი შეურაცხყოფა სახელმწიფოს შეურაცხყოფაა. ამ შემთხვევაში მომწონს თუ არა მარგველაშვილი (რომლის ერთადერთი პლუსია, რომ გოიმი არ არის), მისი უფლებები უნდა დავიცვათ. თუმცა ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მოტყ...იათ პატრონი!“, – წერს რჩეულიშვილი. (ნიუპოსტი)

## Sky-ბარის დირექტორმა დაჩი დარჩიას მკვლელობის დეტალებზე ისაუბრა




**Sky**-ბარის დირექტორ დავით კვირტიას განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაჩი დარჩიას მკვლელობაში ბრალდებული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას ვაჟი, მკვლელობის დღეს ბარში იმყოფებოდნენ, სიმართლეს არ შეესაბამება. მისი თქმით, ამოღებულია ბარში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერის ჩანაწერები, რომელთაც საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებიც გაეცნენ და კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, ჩანაწერები გაასაჯაროოს.

„ეკა ბესელიას შვილს პირადად არ ვიცნობ, იცნობენ ჩვენი მენეჯერები და მათი თქმით, ის ბარში დაახლოებით ბოლო ერთი წელია არ ყოფილა, არც მკვლელობის დღეს. ამასთანავე, ვიდეოკამერის ჩანაწერებში, რომელიც ბარის შესასვლელშია დამონტაჟებული და ყველა სტუმარს აფიქსირებს, მკვლელობაში ბრალდებული არ ფიქსირდება. როგორც გაირკვა, მკვლელობის იარაღი საკმაოდ დიდი ზომისაა და გამორიცხულია დაცვის თანამშრომლებს, რომლებიც ყველა სტუმარს ამოწმებენ, მისთვის ბარში ამ ნივთით შესვლის შესაძლებლობა მიეცათ“, – განაცხადა დავით კვირტიამ და დასძინა, რომ ბარში არანაირ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება თავად მკვლელობის ფაქტს, კვირტიას თქმით, თავდასხმა დარჩიას კლუბიდან გასვლიდან 8-10 წუთში განხორციელდა.

„დაჩი სიგარეტის ყიდვას აპირებდა და შემდეგ სკვერის გავლით გადადიოდა მოკლეზე. ასეთი ჩვევა ჰქონდა. სწორედ სკვერში მოხდა რაღაც შელაპარაკება. სისხლის პირველი კვალი სომხური ეკლესიის თითქმის შესასვლელთან ფიქსირდება და სავარაუდოდ, სწორედ იქ მიაყენა მკვლელობაში ბრალდებულმა პირველი დარტყმა. შემდეგ კი დაახლოებით 100-150 მეტრი სდია. ჩვენმა თანამშრომელმაც დაინახა, როგორ მორბოდა დაჩი და შველას ითხოვდა. შემდეგ დაცვის თანამშრომლებმა დააკავეს თავდამსხმელი. ჩვენ რომ მივედით, დაჩი ჯერ კიდევ გონზე იყო, შველასა და წყალს ითხოვდა. გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა და გადავიყვანეთ საავადმყოფოში, სადაც გული გაუჩერდა. როგორც ექიმმა გვითხრა, სისხლისგან დაიცალა, რადგან არტერია ჰქონდა დაზიანებული“, – განაცხადა კვირტიამ.

დასტურდება თუ არა მკვლელობაში ბრალდებულისა და დარჩიას ნაცნობობა და ხომ არ შეიძლება მომხდარი ძველ ინციდენტს უკავშირდებოდეს, კვირტია ინფორმირებული არაა.

„არავინ იცნობს, არც ერთმა მეგობარმა არაფერი არ იცის ამის შესახებ. რაიმე რომ მომხდარიყო, ერთ მეგობარს მაინც ხომ უნდა სცოდნოდა რაიმე?!“, – განაცხადა კვირტიამ.

ის მოუწოდებს საზოგადოებას, პატივი სცენ დარჩიას ხსოვნას და დეზინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეიკაონ.

„ჩვენი ერთადერთი მიზანია, დადგინდეს, რა მოხდა სინამდვილეში“, – დასძინა მან. (ფრონტნიუსი)

## უკრაინა ნატო-სგან სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას ელოდება



დიდ ბრიტანეთში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ანდრეი კუზმენკოს განცხადებით, უკრაინას ნატო-ს სამხედრო-ტექნიკური დახმარება სჭირდება.

„ჩვენ უელსის სამიტს ველოდებით, რათა ამ სფეროში ჩვენი კავშირები გავაღრმავოთ. ამჟამად ჩვენ მხოლოდ არალეტალურ ელემენტებსა და აღჭურვილობას გვაწვდიან, თუმცა მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება“. – განაცხადა უკრაინელმა დიპლომატმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გიგი უგულავა ზურაბ ადეიშვილისა და საბანაძის დაკითხვას ითხოვს



თბილისის საქალაქო სასამართლოში გიგი უგულავას საქმის არსებითი განხილვა დასრულდა. პროცესზე გიგი უგულავამ მოწმის სახით ზურაბ ადეიშვილისა და თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელის გიორგი საბანაძის დაკითხვა დისტანციური მეთოდით მოითხოვა.

ყოფილმა მერმა დისტანციური მეთოდით დაკითხვის დაშვება პროკურორებს სთხოვა, რადგან, მისი თქმით, ადეიშვილი და საბანაძე არიან ის ადამიანები, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ თბილისის განვითარების ეპიზოდთან დაკავშირებით გიგი უგულავა უდანაშაულოა.

„ჩვენი რამდენიმე მოწმის სკაიპით დაკითხვის უფლება გვინდა გვქონდეს. დღეს აპრობირებული მეთოდით ტექნიკურად ეს გამართული და შესაძლებელია, სამართლებრივადაც ეს შესაძლებელია, იმიტომ რომ სხვა სასამართლო პროცესზე ჯოზეფ ქეიც დისტანციური მეთოდით დაიკითხა, აქედან გამომდინარე იმედი მაქვს, რომ პროკურორები არ გააპროტესტებენ იმას, რომ რამდენიმე მოწმე სკაიპით ჩაერთვება და ისაუბრებს საქმეების გარემოებებზე“, – განაცხადა უგულავამ.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება თბილისის განვითარების ფონდს, რაზეც გამოძიება ყოფილს მერს 48 მილიონის გაფლანგვას ედავება. (ნიუპოსტი)

## „არანაირი პიროვნული უთანხმოება, არც დაძაბულობა არ არსებობს“




საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მასა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის არანაირი პიროვნული უთანხმოება და დაძაბულობა არ არსებობს.

„არანაირი პიროვნული არც უთანხმოება, არც დაძაბულობა არ არსებობს. ეს არის მიმდინარე პროცესი – ახალი საკონსტიტუციო რეალობის ცხოვრებაში გადაყვანისა, სადაც საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, არამედ არის სახელმწიფოს მეთაური. აქედან გამომდინარე, ალბათ, გარკვეული საკითხი საჭიროებს მოთელვას. ეს არის რეალობა, რომელსაც დაუფარავად გიზიარებთ“, – აღნიშნა მარგველაშვილმა. (რეპორტიორი)

## პუტინი ბაროზუს დაემუქრა, რომ კიევს ორ კვირაში აიღებს




რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ევროკომისიის პრეზიდენტს ბაროზუს დაემუქრა, რომ, თუ მას მოესურვება, კიევს ორ კვირაში აიღებს. ამის შესახებ იტალიური გამოცემა „**La Repubblica**“ წერს. სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ პუტინი გულისხმობდა „არ გამოიწვიონ მისი პროვოცირება ახალი სანქციებით“. სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში მსოფლიო და უკრაინულ პრესაში გაჩნდა მრავალი ინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინული მხარის დაშინებას სუვერენიტეტის დაკარგვით და რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომით. (ნიუპოსტი)

## თბილისის მერიასა და გამგეობებში 600-მდე მოქალაქეს მოუსმინეს



მერიაში შეხვედრები გაიმართა მერის მოადგილეებთან, საქალაქო სამსახურის უფროსებთან და რაიონების გამგებლებთან, სადაც 355 ადამიანს მოუსმინეს. მოქალაქეები სოციალური და საბინაო საკითხების მოგვარებას, დასაქმებას, ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, სწავლის დაფინანსებას, ასევე, მცირე ბიზნესის ხელშეწყობას ითხოვენ.

თბილისის მერის ინიციატივით, მოქალაქეთა მიღება ყოველ ორშაბათს 14-დან 18 საათამდე მიმდინარეობს. მიღების წესის მიხედვით, თითოეულ თბილისელს შესაძლებლობა აქვს, პრობლემატიკის მიხედვით, დედაქალაქის მთავრობის წევრებს შეხვდეს და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები გააცნოს. (ნიუპოსტი)

## წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო შემოსავლების სამსახურია

1-ლი სექტემბრიდან წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურია. ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითადი ნაწილი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით. შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, განხორციელდა ცვლილება წარმოშობის სერტიფიკატის გამცემ უფლებამოსილ ორგანოსთან დაკავშირებით. 1-ლი სექტემბრიდან ევროკავშირში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით პროდუქციის იმპორტირებისას წარსადგენი წარმოშობის სერტიფიკატის **(Eur.1)** მისაღებად მეწარმეებმა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს უნდა მიმართონ.

წარმოშობის სერტიფიკატს შემოსავლების სამსახურთან ერთად გასცემდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სავაჭრო სამრეწველო პალატა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო. (ინტერპრესნიუსი)

# რა იცვლება „ქართული ფილმის“ კულტურის სამინისტროსთვის გადაცემით



„ალიას“ ესაუბრება კინორეჟისორი გიორგი შენგელაია:

**— ბატონო გიორგი, მოდით, საუბარი დავიწყოთ მიხეილ სააკაშვილის „ვიზიტით“, რომელიც სარფის საბაჟოზე შედგა და რომელმაც თავისი ხელქვეითები გააფრთხილა, არიქა, ქვეყანას უშველეთ, გადაარჩინეთ, თორემ სადაცაა, გული გამისკდებაო.**

– სააკაშვილის ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ტვინი არა აქვს და სულელია. ეგ არის სატანის მიერ ატაცებული კაცი და არ მოისვენებს, სანამ არ დავმარხავთ და მიწას არ დავაყრით. მანამდე ძალიან საშიშია. თუმცა მაგაზე საშიშად მე დღეს გიორგი მარგველაშვილი მეჩვენება, რომლის გარშემოც ნელ-ნელა იკრიბებიან „ნაციონალები“... აი, ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა ბიძინა ივანიშვილისა. მე ვიცი, რომ სხვა ვარიანტები ჰქონდა ბიძინას, თუ გახსოვს, თავიდან ვახტანგ ხმალაძეზე ლაპარაკობდა. პრეზიდენტი უნდა იყოს ასაკოვანი ადამიანი, რომელსაც პატივს სცემენ. სხვათა შორის, ეს ირაკლი ალასანიაც გაიშიფრა, ეს ბიჭი იმთავითვე არ მიყვარს, 2007 წლის აქციებზე რომ გამოჩნდა და „კამანდირობა“ დაიწყო. სადაც ჩვენ ვიდექით ბოლომდე, მოვიდა და დაიწყო, კარვები აიღეთ, უცხოელებს ხელი ემლებათო და ასე შემდეგ. მაშინ მე გამოვედი ძალიან მკაცრად მაგის წინააღმდეგ, შენ ვინ გეკითხება, ჯერ მოდი, ცოტა ხანს დადექი მიტინგზე და მერე ილაპარაკე-მეთქი. ეს არის ძალიან საშიში ალიანსი, ეგ არის ერთი „კულტურის“ ხალხი, ყველანი მოდიან „თავისუფლების ინსტიტუტიდან“. მარგველაშვილს ლაპარაკზეც ეტყობა, ძმაო, უფრო იქით უბერავს, ვიდრე აქეთ. ირაკლი ღარიბაშვილი ქართველი კაცია, ქართულად იქცევა. საქართველოს უნდა მართავდნენ კაცები, ერეკლე მეორე იყო კაცი, დავით აღმაშენებელი იყო კაცი, მარგველაშვილი არის არაკაცი! თუ უნდა, ამ სიტყვების გამო მიჩივლოს, კიდევ ვიმეორებ, ეგ არ არის კაცი!

აი, ლიბერალიზმი ღუპავს ყველაფერს, შეიძლება ასეთი მიდგომები სადღაც ევროპაში ამართლებს, მაგრამ ჩვენ ჯერ ნახევრად ვართ შუა საუკუნეებში. გადავხედოთ ისტორიას, საქართველოსთვის რომელი ეპოქა იყო ყველაზე კარგი? ის ეპოქა, როდესაც ქვეყანას მართავდნენ კაცები. ამიტომ, ასეთი საკითხები ხალხს უნდა გადავაწყვეტინოთ, მე ვიცი ხალხის განწყობა, დღეს ძალიან ბევრს ეცინება, როცა მარგველაშვილი გამოჩნდება ხოლმე. აკვირდები, ბოლო დროს ცოტა რომ გამკაცრდა? მე არ ვიცი, რას ფიქრობენ მთავრობაში, მაგრამ ამ ადამიანს დროზე ადრე უნდა თამაშიდან გამოყვანა. ან ეს რა კონსტიტუციაა, რომელიც მიშამ დაწერა? თუ ვართ საპარლამენტო რესპუბლიკა, ვიყოთ საპარლამენტო რესპუბლიკა, რაში გვჭირდება უსაქმური პრეზიდენტი? პირველ რიგში, კონსტიტუციაა შესაცვლელი, მაგრამ პარლამენტშიც რთული მომენტი აქვთ, ხმები არ ჰყოფნით, რომ შეცვალონ. ამიტომაა საჭირო რიგგარეშე არჩევნები.

**„გადავხედოთ ისტორიას, საქართველოსთვის რომელი ეპოქა იყო ყველაზე კარგი? ის ეპოქა, როდესაც ქვეყანას მართავდნენ კაცები. ამიტომ, ასეთი საკითხები ხალხს უნდა გადავაწყვეტინოთ, მე ვიცი ხალხის განწყობა, დღეს ძალიან ბევრს ეცინება, როცა მარგველაშვილი გამოჩნდება ხოლმე. აკვირდები, ბოლო დროს ცოტა რომ გამკაცრდა? მე არ ვიცი, რას ფიქრობენ მთავრობაში, მაგრამ ამ ადამიანს დროზე ადრე უნდა თამაშიდან გამოყვანა“**

**— ჯერ ერთი, ამას დრო უნდა და მეორეც — უმრავლესობა ამაზე არ დასთანხმდება. მშვენივრად არიან წამოკოტრიალებულები და ხელფასებსაც იღებენ, ვის უნდა ახლა ამის შეცვლა?**

– მაგის მეტი რა გაუკეთებიათ პოლიტიკოსებს? თუკი უნდათ, რაღაცას მოიფიქრებენ. კაი, შეიძლება ჩვენ მოვითმინოთ კიდევ ორი წელი, მაგრამ ამ ორ წელიწადში ძალიან ბევრი რამე გაფუჭდება. სად არიან მეცნიერები, რატომ ვერ ვხედავთ მთავრობაში? შეიძლება ახლა ვიღაცებს ეწყინოთ, მაგრამ არჩევნების დროს ჩვეულებრივი ხალხი ბევრ რამეს ვერ არჩევს, როდესაც ამერიკაში დარწმუნდნენ, რომ არ შეიძლება, ყველაფერი მასებს ანდო, ამიტომ შექმნეს ორპალატიანი პარლამენტი – კონგრესი და სენატი. უნდა შეიქმნას წარმომადგენელთა პალატა, რომელიც ზემოდან გადახედავს პარლამენტს. ამის თაობაზე პრესასა და ტელევიზიაში უნდა გამოითქვას აზრი, საზოგადოების წარმომადგენლებმა თქვან, რომელი ფორმა უფრო უკეთესი იქნება ჩვენთვის. ბოლოს და ბოლოს, ირაკლი ღარიბაშვილმა არ იცის, ვინ არის ამ ქვეყანაში ჭკვიანი? თუ არ იცის, დამირეკოს და ვეტყვი. სანამ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა, თავს იკატუნებდა, მიშას აშენებულ სასახლეში არ შევალო, გახდა პრეზიდენტი და ეგრევე გაქანდა. ხალხში რაღაც გამოკითხვა მაინც ჩაეტარებინა, რა სულსწრაფობაა? უმრავლესობა ეტყოდა, არ შეხვიდეო, მე მაგ აზრზე ვარ. როცა მიტინგებზე დავდიოდი, მაშინ ზოგიერთი გამოდიოდა და ამბობდა, სააკაშვილს დავამარცხებთ და მაგ სასახლეში გავხსნით მუსიკალურ სკოლასო. მე გამოვედი და ხალხს ვუთხარი: ამაზე არ დასთანხმდეთ, ეგ სასახლე არის სოდომი და გომორი, უნდა დაინგრეს-მეთქი.

**— ბატონო გიორგი, ამ სასახლეში ასობით მილიონი დოლარია ჩაყრილი.**

– ნამუსი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ფული! სხვათა შორის, ხელისუფლებაში ხდება ის, რაც ხდება ქართულ კინოში, ერთი მხრივ არსებობს კინოცენტრი, მეორე მხრივ – კინოსტუდია. ადრე გითხარი, შექმნეს კომისია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, გადაეცეს თუ არა „ქართული ფილმი“ ეკონომიკის სამინისტროდან კულტურის სამინისტროს. ახლა მეც ვესწრები ხოლმე სხდომებს, ეს მინისტრები მიდიან, მოდიან, ხან უცხოეთში დადიან, ძლივს გროვდებიან. ამასობაში, ის ახალგაზრდები, რომლებიც კინოცენტრში არიან გაერთიანებულნი, უტევენ მთავრობას.

**— რას ჰქვია, უტევენ?**

– მიუტანიათ მთავრობაში თავიანთი პრიზები და ამტკიცებენ, რომ ქართული კინო ყვავის. არადა, ეს პრიზები აღებული აქვთ უცხოეთის ქვეყნების მივარდნილ სოფლებში. მსოფლიოში არსებობს სამი ფესტივალი – ვენეციის, კანისა და ბერლინის, მათ მიერ გადაღებულ არც ერთ ფილმს ამ ფესტივალებზე არაფერი არ მიუღია. დადიან პატარ-პატარა ქალაქებში, უმნიშვნელო ადგილებში, რაღაცას ჩირთიფირთობენ და ახლა მთავრობას აბოლებენ. მე სახლში მაქვს ერთი ჩემოდანი, რომელიც გატენილია პრიზებით, ხანდახან წამომივლის ხოლმე სურვილი, ეს ჩემოდანი მივიტანო და პრიზები მაგიდაზე დავახვავო, მაგრამ მერიდება. მე ჩემი რომელიმე ფილმი არ დამიმიზნებია რომელიმე ფესტივალისთვის, მაგრამ უამრავი პრიზი მაქვს.

**— ბოლოს და ბოლოს, საქმეს როგორი პირი უჩანს, კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ გადასცემენ კულტურის სამინისტროს? რომც გადასცენ, მერე რა, ქართულ კინოს რა ეშველება?**

– საქმე თითქოს ფინალისკენ მიდის, წინა მინისტრი ისე იქცეოდა, გეგონება, კულტურის სამინისტრო საქულას დუქანი იყო – გაუთავებელი განხილვები, გაუთავებელი რაღაცები... ახლა ახალი ხალხი დაინიშნა, შეიძლება მაგათაც შევედაო მომავალში, მაგრამ ჯერჯერობით ნორმალურად იქცევიან. მოკლედ, თითქმის გადაწყვეტილია, „ქართული ფილმი“ გადაეცემა კულტურის სამინისტროს, გენერალური პროდიუსერები ვიქნებით: მე, ოთარ იოსელიანი, მიშა კობახიძე და ელდარ შენგელაია. ამას წყალი არ გაუვა.

**— მთავრობის მხრიდან ამის სურვილი არის?**

– მთავრობას უდევს ორი პროექტი, ერთი ჩვენი და მეორე იმ გაუნათლებელი ახალგაზრდებისა, რომლებიც იძახიან, „ქართული ფილმი“ არ გვჭირდებაო. მაგათ ტრადიციები და ცოდნა არ სჭირდებათ, სულ არ აინტერესებთ ნატო ვაჩნაძე, სპარტაკ ბაღაშვილი და სხვები. არ იციან, ეგ რა ხილია, ტრადიცია სასმელია თუ საჭმელი, აზრზე არ არიან. ვიმედოვნებ, რომ მთავრობა „ქართულ ფილმს“ გააცოცხლებს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ხელისუფლებას ინტენსიური კონტაქტი აქვს უკრაინელ კოლეგებთან“



უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე ეხმაურება. მინისტრის თქმით, მას უშუალოდ ჰქონდა დაგეგმილი შეხვედრა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან, თუმცა შეხვედრა ვერ შედგა, რადგან ის იმ დღეს იყო დაგეგმილი, როცა უკრაინაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

„თუმცა სწორედ იმ პერიოდში იმყოფებოდა ჯანდაცვის მინისტრი უკრაინაში. მან ძალიან სერიოზული ინფორმაცია ჩამოიტანა უკრაინიდან და ჩვენ ძალიან სერიოზული გეგმები გვაქვს, როგორ უნდა დავეხმაროთ უკრაინას“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ბიუროს სხდომა თბილისის პარლამენტში ჩატარდება



ქართველი კანონმდებლები საშემოდგომო სესიას პარლამენტის ისტორიული შენობის განახლებულ დარბაზში ბიუროს სხდომით გახსნიან.

დავით უსუფაშვილის თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ პარლამენტი მთლიანად თბილისში გადმოდის, სიმართლეს არ შეესაბამება.

„გავრცელებული ჭორები იმის შესახებ, რომ პარლამენტმა მიატოვა ქუთაისი და გადმოვიდა თბილისში, არასწორია. ჩვენ არაფერი მიგვიტოვებია, უბრალოდ, თბილისშიც გვექნება ცალკეული სამუშაო ღონისძიებები. პარლამენტი რჩება ქუთაისში. სხდომები ჩატარდება იქ, თუმცა ჩატარდება თბილისშიც“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ სწრაფად იქნება მიღებული საკონსტიტუციო ცვლილება, რის შემდეგაც პარლამენტს შეეძლება კონკრეტული გადაწყვეტილებები თბილისში მიიღოს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## მაკა ჩიჩუას შვილს უნდა, რომ „კაზანტიპი“ საქართველოში მომავალ წელსაც ჩატარდეს



„კაზანტიპის“ ფესტივალზე ჟურნალისტების ყურადღება მაკა ჩიჩუას შვილმა – მაშო ჩიჩუამ მიიპყრო. მაშომ ფესტივალთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა.

– „კაზანტიპზე“ პირველ რიგში ჩამოვედი იმ ნეგატიური ინფორმაციის გამო, რომელიც ჩემამდე მოდიოდა. და დამხვდა სრული პოზიტივი. ასეთი ბედნიერება და სიკეთე, ჯერჯერობით საქართველოში არ შემხვედრია. ეს ყველაფერი ძალიან მახარებს, სურვილი მაქვს, რომ მომავალ წელსაც განმეორდეს და მგონია, რომ უფრო დახვეწილი ფორმით იქნება მომავალ წელს, – თქვა მაშო ჩიჩუამ.

reitingi.ge



## გოგონა, რომელიც საზოგადოებამ საზარელი შემთხვევით გაიცნო, გათხოვდა

გვანცა ადამიას სახელი და გვარი საზოგადოებისთვის ცნობილი იმ შემთხვევის შემდეგ გახდა, როცა უნივერსიტეტის სტუდენტი მასზე უიმედოდ შეყვარებულმა ბიჭმა, ვანო ღონღაძემ მესამე სართულის კიბეებიდან გადმოაგდო. გოგონა მართლაც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

გვანცას რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა. რეაბილიტაციის პროცესი ხანგრძლივი აღმოჩნდა. თუმცა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ძლიერი აღმოჩნდა და შემთხვევიდან რამდენიმე თვეში უნივერსიტეტსა და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

ცოტა ხნის წინ, გვანცას „ფეისბუკზე“ მის შესახებ ახალი ამბავი შევიტყვეთ, რომ გვანცა შეყვარებული იყო ნიკა ხვედელიძეზე. წყვილის სიყვარულის ისტორიის შესახებ ვერაფერს გიამბობთ, რადგან გვანცამ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

გვანცას „ფეისბუკზე“ ახალი ფოტოები გაჩნდა – ნიკა ტორტის ნაჭერს უნაწილებს შეყვარებულ გოგონას. ფოტოებიდანაც და კომენტარებიდანაც ირკვევა, რომ გვანცა გათხოვდა.

reitingi.ge

## ფანჯიკიძე: ჟურნალისტებო, ეს „პოსტი“ არ წააცუნცულოთ



საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მეუღლე და ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე სოციალური ქსელის მეშვეობით შემდეგი სახის სტატუსს აქვეყნებს:

– ორი კვირის წინ ჩემმა კატომ ჯოკერში შრომა-გასწორება წააგო, მეგობრის (მოგებულის) მამის რესტორანში გვიან ღამემდე მიმტანად იმუშავა. ერთ მაგიდასთან კლიენტებმა 200 ლარის მოილხინეს და „ჩაევიე“ 60 თეთრი დაუტოვეს შვილის ტოლ ადამიანს, მაგრამ ეგ არაფერი... ვიცი, რომ სისულელეს ვამბობ, მაგრამ სისულელე ხანდახან ხომ ძალიან მომხიბლავად გამოიყურება? ეგეთი კაზინო რომ გაკეთდეს, რა კარგი იქნება, – წააგე? – დაგვი ქუჩას... ბევრი წააგე? გათოხნი ნახევარ ჰექტარს... სიკეთე ამისგან:

1. მიეჩვევიან შრომას
2. შრომა იქნება აღქმული ხალისად და არა ტანჯვად
3. დაბალანსდება მათი უაზროდ დაგროვილი ლიბიდო, რომელიც კომპულსიურ ქცევაში გამოიხატება
4. საქმე გაკეთდება უფასოდ
5. სოფელიც აშენდება

გახსენით რა სახელმწიფო შრომა-გასწორების კაზინო.

**P.S.** ჟურნალისტებო, ეს არ წააცუნცულოთ, ვინმე იფიქრებს, რომ იმაზე მეტად ვაფრენ, ვიდრე ვაფრენ, არადა კი არ ვაფრენ, ვხუმრობ (არ გამოვრიცხავ, რომ უკბილოდ), – წერს ნათია ფანჯიკიძე.

newposts.ge



## გიორგი ცაგარელისთვის ირმა სოხაძის კონცერტის მოსმენა წამებაა

ცნობილი ალტისტი გიორგი ცაგარელი ირმა სოხაძის კონცერტის მოსმენას ფაშისტების წამებას ადარებს.

– მიიიშველეთ!!! ჩემმა მეგობრებმა ჩამკეტეს და ირმა სოხაძის კონცერტს მაყურებინებენ! თავი ფაშისტების წამების ერთ-ერთი მეთოდის მსხვერპლი მგონია((((, – წერს ცაგარელი.

*pia.ge*

## „ცოტნე ცოტაშვილისა და ანკას სასიყვარულო ინტრიგა გრძელდება“



„ჩემი ცოლის დაქალების“ სერიალის პროდიუსერის ირაკლი საღინაძის თქმით, ცოტნეს პერსონაჟი განვითარდება და მის ცხოვრებაში რაღაც სიახლეებიც მოხდება.

– სერიალში განახლებები მოხდება. ცოტნე, რა თქმა უნდა, იქნება, რადგან ერთი სეზონი საკმარისი არ არის ამ პერსონაჟისა და მსახიობისთვის, რომ შესაძლებლობები ამოწუროს. შესაბამისად, დარჩება და გააგრძელებს სერიალში საქმიანობას. ეს პერსონაჟი განვითარდება და მის ცხოვრებაში კიდევ რაღაც სიახლეები მოხდება... ადამიანები პოლიტიკიდან წასულან და კიდევ დაბრუნებულან. შეიძლება დაბრუნდეს... შეიძლება – არა, მოკლედ, მისი ამბავი გრძელდება. გრძელდება მისი ინტრიგა ანკასთან და საერთოდ, მისი პირადი ცხოვრების დეტალები აქტიურად იქნება ახალ სეზონზეც“, – აცხადებს საღინაძე.

*ambebi.ge*

## რამაზ ნოზაძესა და ხატია სიჭინავას გოგონა შეეძინათ



ახალშობილს წყვილმა სახელად ევა შეურჩია...

ხატიამ პირველ გოგონას გაბრიელა – მამა გაბრიელის პატივსაცემად დაარქვა. ფეხმძიმობის პერიოდში მცხეთაში წმინდანის საფლავზე იმყოფებოდა და მაშინ თქვა, თუ ბიჭი შეეძინებოდა, გაბრიელს დაარქმევდა. თუმცა პირველი შვილი გოგონა აღმოჩნდა და პირობა მაინც შეასრულა და ბავშვს გაბრიელა დაარქვა.

მეორე გოგონას კი ოლგა, საყვარელი მულის პატივსაცემად დაარქვა. ხატია თითქმის ყველა ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ძალიან უნდა საყვარელ მეუღლეს ბიჭი გაუჩინოს და ამისთვის თავს არ დაზოგავს.

როდესაც მესამე შვილზე იყო ფეხმძიმედ, ერთ-ერთ შოუში აღნიშნა, რომ ბიჭს ელოდებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ექიმები შეცდნენ და მალე გაარკვია, რომ ქვეყანას მესამე ქალიშვილი შეეძინებოდა.



სიჭინავა-ნოზაძის წყვილი მესამე შვილზე გაჩერებას არ აპირებს. ხატიას თქმით, მისი მეუღლე ღირსია, რომ ბიჭი ჰყავდეს და როგორც ამბობს, აუცილებლად გაუჩენს რამაზს ვაჟს.

reitingi.ge

## სალომე გოგიაშვილის მსგავსება ვიქტორია ბექჰემთან და ბიჭების მიერ დაწუნებული თიკო სადუნიშვილი



მოგეხსენებათ, ქართველებს უყვართ მოდაზე საუბარი, კარგად ჩაცმა და შემდეგ ერთიმეორის გაქილიკებაც კი ამა თუ იმ ვარცხნილობის, სამოსისა თუ ფეხსაცმლის გამო. ხშირად მსმენია ფრაზა – თბილისში ყველას ერთნაირად აცვია! რასაც საზოგადოების ერთი ნაწილი ეთანხმება, მეორე – არა. მსოფლიო მოდისგან მოწვდილ ტენდენციებს პირველად მაინც ბომონდი იტაცებს და საკუთარ თავზე „ცდის“, შემდეგ კი ქუჩის მოდაც ითვისებს აქტუალურ სტილს.

ამჯერად მოკლე ვარცხნილობებზე გვინდა ვისაუბროთ, რომელიც მსოფლიო ტენდენციაა, თუმცა ქართულმა შოუბიზნესმა და ელიტამ კარგად აითვისა და მასობრივად დაგრძელებული თმიდან მოკლე სტილზე გადაინაცვლა... ზოგი ამას თმის ხარისხის გაუმჯობესების სურვილს „აბრალებს“, ზოგი – ერთი და იმავე ვარცხნილობის მობეზრებას, ოღონდ თითქმის არავინ აღიარებს, რომ მთავარი როლი თმის დამოკლებაში მაინც მოდამ ითამაშა.

ქართულ რეალობაში თიკო სადუნიშვილი გახლდათ პიონერი, რომელმაც ზემოხსენებული ტენდენცია საკუთარ თავზე გამოსცადა, საშუალო სიგრძის ქერა თმიდან საკმაოდ მოკლე, ე.წ. „ბიჭურ“ ვარცხნილობაზე გადავიდა და ფერიც შეიცვალა – წითური გახდა... „მიუზიქ ბოქსთან“ ინტერვიუში თავადვე ამბობდა, ბიჭებს არ მოვწონვარ ასეთი იმიჯით, გოგონებს კი – პირიქით. არ ვიცი, შეიძლება ამას იმიტომ ამბობენ, რომ ძლივს ნახეს, არ ვარგა თიკო და უნდათ ასევე დავრჩეო. ექსპერიმენტების შემდეგ თიკომ თმის ძველი ფერი დაიბრუნა და ახლა ისევ ქერაა.

გახსოვთ, ალბათ, სალომე გოგიაშვილის გრძელი ქერა თმა, რომელიც ყოფილმა ტელეწამყვანმა „კარეთი“ ჩაანაცვლა. დამეთანხმებით, „კარედან“ უფრო მარტივია თმის დამოკლება და განსხვავებული ვარცხნილობის მიღება, ვიდრე გრძელი თმიდან. ჰოდა, სალომემაც სხვა ფორმა მისცა მის არცთუ გრძელ თმას და ცოტა ხნით ვიქტორია ბექჰემსაც კი დაემსგავსა, შემდეგ ისევ შეიცვალა სტილი და დღეს ისიც მოკლევარცხნილობიანთა რიგებშია...

*ambebi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ასაკიანი ქალი ლიფტში უცხო მამაკაცთან ერთად მოხვდა.

ქალი:

– იცოდეთ, თუ კოცნას დამიპირებთ, ვიყვირებ!

– მეც!!!

*****

ქართული ეროვნული მენტალიტეტი:

– ვახ, ამის დედაც მოვ...ან, არაფერი ჩანს! – წამოიყვირა მძღოლმა და სიჩქარეს მოუმატა...

*****

– ექიმო, მითხარით, გრიპი მაქვს?!

– დიახ!!!

– ღორის?!

– რა თქმა უნდა! მარტო ღორს თუ შეეძლო გამთენიის 5 საათზე სასწრაფოს გამოძახება 36,7 ტემპერატურის გამო!!!

*****

ქალი:

– არა, ძვირფასო! ჯერ ქორწილი და მხოლოდ შემდეგ საწოლი!

მამაკაცი:

– ჩემო საყვარელო, მოდი, რეალისტები ვიყოთ: მაშინაც კი, როცა მანქანას ყიდულობ, ჯერ ტესტდრაივია და მხოლოდ შემდეგ დოკუმენტების გაფორმება!..

*****

კოტე ძმაკაცს ესაუბრება:

– გუშინ ცოლი „ოტელოზე“ მყავდა წაყვანილი.

– რაო, კულტურული პროგრამა?

– არა, გაფრთხილება!

*****



ორი ძმაკაცი ნადირობს:

– დაინახე?

– რა?

– რა და იხვმა გადაგვიფრინა, შე ელამო!..

– ვაა, ახლაც ვერ დაინახე?!

– რა?

– კურდღელმა გაგვირბინა წინ!..

– ისევ ვერ დაინახე?!

– კი, როგორ ვერ დავინახე?!

– თუ დაინახე, აბა, ფეხი რატომღა ჩადგი?!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## ტაივანელი „რომეო“ ქალღმერთის ქანდაკებაზე დაქორწინდა



საერთოდ, ყოველთვის ისე ხდება ხოლმე, რომ გარყვნილებას დემოკრატიის ცანცარულ სამოსში გამოწყობილი მორალისტები საუკეთესო შემთხვევაში, ავადმყოფობად ასაღებენ, ისე კი, უჩვეულოს ვერაფერს ხედავენ მაგალითად, მამათმავლობაში, ლესბოსელობაში, ნეკროფილობაში, ზოოფილობაში და რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, პედოფილიაშიც კი!

ზუსტად როგორ შეაფასეს ეს სულელური ფაქტი დემოკრატიის მამებმა, ვერ გეტყვით, თუმცა რთული მისახვედრი არც არის, რადგან ყველას აქვს იმის გაკეთების უფლება, რაც მის ავადმყოფურ გონებაში დაიბადება.

ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, გეტყვით, რომ ტაივანის მკვიდრმა, იუნ ლინმა ქალღმერთის ქანდაკებაზე იქორწინა.

თავად ლინის განმარტებით, ლოტოსის ქალღმერთის მიმართ გრძნობა ჩვეულებრივ მოკვდავებთან ხელმოცარული რომანების შემდეგ გაუჩნდა, რომელიც სიზმარში ძალიან ხშირად ეცხადებოდა და სიყვარულს ეფიცებოდა.

მას შემდეგ, რაც საზეიმო ღონისძიებაზე სიძემ „პატარძალთან“ ხელი მოაწერა, ქანდაკება სახლში გადაიტანა და...

***gazeta.ru***

## ქალწულობა როგორ დამაკარგვინეო, ქმარს... სასამართლოში უჩივლა



ახლად გათხოვილმა სვანმა მეუღლე მოკლა და თავი ასე იმართლაო:

– აბა, სისხლს ხომ არ შევარჩენდიო...

ეს კი მხოლოდ ანეკდოტია და იმედი გვაქვს, არც არავის გავანაწყენებთ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, დაახლოებით მსგავსი შემთხვევა მოხდა მალაიზიაში, რომელზეც ახლავე დეტალურად მოგიყვებით:

თურმე, 30 წლის მალაიზიელი ქალი, რომელზეც მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იგი პროფესიით პედაგოგია, კომპენსაციის სახით მეუღლისგან სასამართლოს გზით 3 მილიონი რინგიტის (1 მილიონი აშშ დოლარი) მიღებას ცდილობს, რადგან ამ უკანასკნელს მისი საქალწულე აპკი დაუზიანებია.

ახლა, დაქორწინებას რომ დეფლორაცია და სისხლი მოსდევს ხოლმე, ამას რა დიდი ცოდნა უნდა, მაგრამ მალაიზიელი მაინც იმას ამტკიცებს, ჩვენ მოლაპარაკებული ვიყავით, რომ ეს არ მოხდებოდა და შვილებს ისე გავაჩენდითო...

მეტი რა გითხრათ, როგორც ჩანს, ამ უცნაურ მალაიზიელ ქალს ეგონა, შვილები ან წეროს უნდა მოეყვანა მისთვის, ან კიდევ კომბოსტოში ეპოვა ოქროს ქოჩრიანი ვაჟი, მაგრამ, საბედნიეროდ, გამრავლება ხომ ჯერ კიდევ „ტრადიციული გზით“ ხდება და ერთი ორი წვეთი სისხლი, ვითომ ამდენ დავიდარაბად ღირს?!

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ სასამართლომ უაზრო სარჩელი განსახილველად მიიღო და განაჩენს ერთად დაველოდოთ...

***rokf.ru***

## კერტებზე კბენას ბედნიერება მოაქვსო



ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, მაგრამ ცრუმორწმუნე ადამიანების ფანტაზიები იმდენად შორს მიექანება, რომ შეიძლება ვიფიქროთ, გონზე მოსვლას ვერასოდეს მოახერხებენო.

თურმე, კოლუმბიის ქალაქ კარტახენაში არსებობს შიშველი ქალის სკულპტურა, რომლის კერტებზე კბილის შესავლებად წყვილები უზარმაზარ რიგში დგებიან და ჩვეულებრივი უსულო საგნის ძუძუების წყალობით ბედნიერების მოპოვების იმედით ცქმუტავენ.

ადგილობრივებს სჯერათ, რომ ამ უჩვეულო რიტუალის წყალობით ოჯახებში არსებული დაძაბულობა უპრობლემოდ განიმუხტება და კარტახენელების გულებში ცოლქმრული იდილიაც წამსვე დაისადგურებს.

რატომ მიაწერეს სკულპტურას ასეთი შესაძლებლობები, არ კონკრეტდება, მაგრამ ქალაქის ხელისუფლება უკვე დატანჯულია, რადგან კბენის გამო გაცვეთილი კერტების აღდგენა ლამის ყოველთვიურად ხდება საჭირო.

***byaki.net***

## ფრთხილად, ინტერნეტით სექსს დაფეხმძიმება და ალიმენტები მოსდევს!



არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც რეალურ სექსს რატომღაც ვირტუალური ურჩევნიათ.

მათი მისწრაფებების განხილვაზე დრო ტყუილად რომ არ დავკარგოთ, იმ საკმაოდ უჩვეულო ამბავზე მოგიყვებით, რომელიც ამერიკაში, კერძოდ კი კოლორადოში მომხდარა.

თურმე, 26 წლის ფრენსის უინდჰემი ამტკიცებს, რომ ის სწორედ მაშინ დაფეხმძიმდა, როცა მისი ვირტუალური მეგობარი რამდენიმე ასეული კილომეტრიდან მოშორებით ვნების საღერღელს უშლიდა და ინტერნეტის მეშვეობით ათასგვარ საალერსო სიტყვას უგზავნიდა.

– ის იმდენად სულისშემძვრელად მელაპარაკებოდა, რომ სრული ილუზია მექმნებოდა, თითქოს, მართლა ჩემთან იყო და ნამდვილი სექსი გვქონდა. მესმოდა ზარების რეკვა, ვხედავდი ფოიერვერკს და ჩემი სხეულიც შესაბამისად რეაგირებდა. ახლა უკვე ბავშვი მყავს და მამა სწორედ ის არის. ვიცი, ძალიან რთული დასაჯერებელია, მაგრამ სექსი მთელი 2 წლის განმავლობაში არავისთან მქონია, – ამტკიცებს ფრენსის უინდჰემი.

რაც შეეხება ბავშვის „მამას“, 27 წლის კლერენს კუდროუს, რომელსაც სახელიც რაღაც განსაკუთრებული ხმოვანების აქვს, იგი ნიუ-იორკში ცხოვრობს და თავს იმართლებს, რას ლაპარაკობთ, კოლორადოში არასოდეს ვყოფილვარ და ინტერნეტით ვინ და როგორ უნდა დამეფეხმძიმებინა, ხომ არ გადაირიეთო?!

ასეა თუ ისე, მარტოხელა დედა თავისი ვირტუალური ქმრის წინააღმდეგ უახლოეს მომავალში სასამართლოში ჩივილს აპირებს, რათა მან ახალდაბადებული ბავშვი ალიმენტით უზრუნველყოს.

რაც ყველაზე საინტერესოა, დოქტორი ჯონ სვოლი, რომელიც უჩვეულო დაფეხმძიმებების ფაქტების სპეციალისტია, განმარტავს, რომ ფრენსის უინდჰემი შესაძლოა, რაღაცაში მართალიც კი იყოს:

– თუკი მას სექსი 2 წლის განმავლობაში არ ჰქონია, ალბათობა იმისა, რომ ძველი პარტნიორის სპერმა მის სხეულში დარჩენილიყო 1:5 მილიონთანაა, მაგრამ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. მით უმეტეს, როცა ის ვირტუალური ურთიერთობებისას ილგზნებოდა, „დამალული“ სპერმის გააქტიურება ძალიან ადვილად მოხდებოდა.

სხვათა შორის, უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ამერიკაში „დამალული“ სპერმით ქალის დაფეხმძიმების 18 ფაქტია გამოვლენილი. მათ შორის, ერთ-ერთი ოჰაიოში დაფიქსირდა, სადაც ამერიკელი ქალბატონი სექსიდან 38 თვის შემდეგ დაორსულდა.

მოკლედ, ფრთხილად იყავით, რამე უბედურებაში არ გაყოთ თავი. აბა, „რატომ უნდა უხადოთ ალიმენტი ვიღაც ფრანგებს“, ან თუნდაც, ამერიკელებს?

***liapi.net***

## პოლიციას ეგონა, კლავდნენ, არადა...



ვნებააღერღილი ბრიტანელი მეუღლეები საკუთარ სახლში იმას აკეთებდნენ, რისთვისაც, პრინციპში, პასუხს კაციშვილი ვერ მოსთხოვდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ შემთხვევით ტელეფონს ზემოდან მოექცნენ და აპარატზე პოლიციის ნომერი „აეკრიფათ“.

ოპერატორმა, რომელმაც ზარი ღამის 2 საათზე მიიღო და თან ადამიანების მიერ გამოცემული „უჩვეულო“ ხმები გაიგო, გადაწყვიტა, რომ ვიღაცას კლავდნენ და ტელეფონის ნომრის მიხედვით ზუსტი მისამართის დადგენის შემდეგ ადგილზე პოლიციის რამდენიმე ჯგუფი გაგზავნა.

ცხადია, ყველაფერი უმალ გაირკვა და სამართალდამცველებმა წყვილის დაჯარიმებაც კი მოინდომეს, თუმცა როცა საქმეში ადვოკატები ჩაერთვნენ, ეს კურიოზული შემთხვევა ყოველგვარი ზედმეტი ინციდენტების გარეშე ამოიწურა.

***ebio.ru***

## ესტონელი ფერმერი სასამართლოს ფუტკრების ფრენის მარშრუტის შეცვლას სთხოვს



იმდენჯერ დაუკბენიათ საცოდავი ესტონელი გლეხი ფუტკრებს, რომ გავლენა აშკარად მის აზროვნებაზეც მოუხდენიათ...

როგორც ირკვევა, ესტონეთის სოფელ ლეენეს მკვიდრი ანტს კუნინგასი ფუტკრებმა 23-ჯერ დაკბინეს, თუმცა ფატალურ შედეგს ის ყოველ ჯერზე სასწაულებრივად გადაურჩა. ერთი კია, მეზობელ მეფუტკრეზე გული მოუვიდა და სასამართლოს მიმართა. საინტერესო ის გახლავთ, რომ დაზარალებული არავითარ კომპენსაციას არ მოითხოვს. უბრალოდ, სურს, რომ ფუტკრებს ფრენის მარშრუტი ნებისმიერი ხერხით შეუცვალონ და მისი სახლის გვერდის ავლით იფრინონ.

მისი განმარტებით, ფუტკრების ფრენის ტრაექტორია პირდაპირ სოფლის გზაზე გადის, რის გამოც კარგ ამინდებში მწერებთან შეხვედრის თავიდან აცილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ცნობილია, რომ დაკბენილ გლეხს საკმაოდ ძლიერი ადვოკატი ჰყავს, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ სასამართლოს საქმე განსახილველად მიაღებინა, თუმცა რაც შეეხება განაჩენს, ძალიან საეჭვოა, ის დაზარალებულის სასარგებლო აღმოჩნდეს.

***delfi.ua***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. ამფიბია
2. გიორგი დანელიას ფილმი
3. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
4. ნივთიერება, გამოიყოფა შიშის დროს
5. ქალის სასიმღერო ხმა
6. შიიზმის მიმდევარი
7. ხელის საგრილებელი
8. რბილი ლითონი
9. საბაჟო აჭარაში
10. ბოსტნეულის კერძი
11. მდ. სანკტ-პეტერბურგში
12. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
13. ბიბლიური მთა
14. წარწერა საფლავის ქვაზე
15. დიდი კაშკაშა მეტეორი
16. მხატვარი კამილ ...
17. გერმანული ავტომობილი
18. ყველაზე მტკიცე მინერალი
19. წისქვილის ქვა
20. მდინარე აღმ. საქართ.
21. ამერიკელების მეტსახელი
22. ტაილანდის ძველი სახელწ.
23. ... ძედუნი
24. ტბა აფრიკაში
25. მსახიობი ... როკი
26. მწერალი ალფონს ...
27. მოჭადრაკე ... კრამლინგი
28. ... მღაღადებლისა უდაბნოსა შინა
29. მსახიობი ... ოტული
30. აცტეკების ბელადი
31. ნიკულინი, მორგუნოვი და ...
32. მუსლიმანური მარხვა
33. თმის საპრიალებელი საცხი
34. მესია ... ქრისტე
35. შტატი აშშ-ში
36. დიზაინერი ... ბერგერი
37. მსახიობი ... ჯიროტი
38. სახელმწიფო აფრიკაში
39. მსახიობი ... მიდლერი
40. ნიშნავს ცივს
41. ვოლგოგრადის ძველი სახელწოდება
42. მხატვარი დიეგო ...
43. ნაცისტების მიერ ებრაელების მასობრივი გენოციდი
44. ჩანთოსანი დათვი
45. ძვირფასი მინერალ. ქვა
46. რძის პროდუქტი
47. ბეთჰოვენი. „მთვარის ...“
48. ნაბიჯი ბალეტში
49. ხელოვნური ვარცხნილობა
50. დანაკარგის ანაზღაურება
51. ვინი პუჰის ავტორი
52. სააფთიაქო წონის ერთეული
53. ... გაგარინი
54. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
55. არაქისიანი შოკოლადი
56. მისი დედაქალაქია რაბატი
57. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
58. მწერალი ... კიპლინგი
59. მხატვარი ... იგნატოვი
60. ლიტვის ფულის ერთეული
61. ქალაქი ლიტვაში
62. რუსული ხის თოჯინები
63. მოვლენა: ჩრდილოეთის ...
64. სამაგიდო თამაში
65. გრაფი ... დე პეირაკი
66. მსახიობი ... ქავჟარაძე
67. მსახიობი დრიუ ...
68. მომღერალი ... რიდი
69. ლითონი
70. მოკრივე ... ჰოლიფილდი
71. ცხვრის ქონი
72. მიწის ფართობის ერთეული
73. თხილიანი შოკოლადი
74. ბერძნული თიხის ჭურჭელი
75. მონარქი
76. თაფლიანი ნამცხვარი
77. მხატვარი ... შაგალი
78. ბზრიალა
79. ტყის ფრინველი
80. მსახიობი უაინონა ...
81. ბია
82. ფურცლის დაკეცვის იაპონური ხელოვნ.
83. მომღერალი რაფაელა ...
84. მოგზაური ... პოლო
85. სიმინდის ფქვილის კვერი
86. ვიეტნამის დედაქალაქი
87. კანიბალი
88. ... ტერეშკოვა
89. იტალიური სპორტ. ავტომობილი
90. ყურძნის არაყი
91. ავსული არაბულ ზღაპრებში
92. ... დაიჭირავს სიკვდილსა
93. რაგბიში გატანილი გოლი
94. ბოსტნეული
95. ხილი
96. დადუღებული ყურძნის წვენი
97. ჩილეს დედაქალაქი
98. ძვ. ქართ. ცხენოსნობა
99. ... წავა და სხვა მოვა
100. შრომა
101. მაიმუნის სახეობა
102. შეიარაღებული დაცვა
103. ქალაქი უკრაინაში
104. ბიბლიური მოსეს ძმა
105. მხ/ფ „მიდიოდა ...“
106. მსახიობი ... ლიოტა
107. ხეობის ძირის ნაწილი მდინარესთან
108. ნარკოტიკული მცენარე
109. ლაშქარი
110. მხ/ფ „... პერიოდის პარკი“
111. ლითონის ფული
112. როლანი. „... ბრუნიონი“
113. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა“
114. იაპონური თეატრი
115. ციტრუსი
116. ამერიკელი მომღერალი ქალი
117. მზის ღმერთი ეგვიპტეში
118. გამოუწვავი აგური
119. შხამიანი ობობა
120. ქალაქი იმერეთში
121. „სამგროშიანი ...“
122. მხ/ფ „ცისკრის ...“
123. ყაიმი
124. ... სუხიშვილი
125. აზრა
126. პირის ნაცვალსახელი
127. პირველი სამნიშნა რიცხვი
128. იაპონური მულტიპლიკაცია
129. მსახიობი ... ქლოუზი
130. ქედი რუსეთში
131. „... ვხედავ მზეს“
132. ჩვილის საწოლი
133. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
134. მომღერალი ენრიკე ...
135. დედამიწის გუმბათი
136. მსახიობი ანუკ ...
137. სახის ნაწილი
138. მსახ. ... უიზერსპუნი
139. სოფოკლე. „... მეფე“
140. ჟამი
141. ისტორიიდან: ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ ...
142. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
143. ამერიკული სამგზავრო თვითმფრ.
144. დიუმა. „... წლის შემდეგ“
145. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
146. სლავური ანბანი

პასუხები: 1. სალამანდრა; 2. „აფონია“; 3. სარდინია; 4. ადრენალინი; 5. ალტი; 6. შიიტი; 7. მარაო; 8. კალა; 9. სარფი; 10. აჯაფსანდალი; 11. ნევა; 12. რური; 13. არარატი; 14. ეპიტაფია; 15. ბოლიდი; 16. პისარო; 17. „მერსედესი“; 18. ალმასი; 19. დოლაბი; 20. ლიახვი; 21. იანკი; 22. სიამი; 23. მაო; 24. ნიასა; 25. მარიკა; 26. დოდე; 27. პია; 28. ხმა; 29. პიტერ; 30. მონტესუმა; 31. ვიცინი; 32. რამაზანი; 33. ბრიოლინი; 34. იესო; 35. ნევადა; 36. ზალიკო; 37. მასიმო; 38. სომალი; 39. ბეტ; 40. კრიო; 41. ცარიცინი; 42. ველასკესი; 43. ჰოლოკოსტი; 44. კოალა; 45. ოპალი; 46. დო; 47. სონატა; 48. პა; 49. პარიკი; 50. კომპენსაცია; 51. მილნი; 52. უნცია; 53. იური; 54. სან; 55. „სნიკერსი“; 56. მაროკო; 57. კადრილი; 58. რედიარდ; 59. კოკა; 60. ლიტი; 61. კლაიპედა; 62. მატრიოშკა; 63. ციალი; 64. ნარდი; 65. ჟოფრეი; 66. ლიკა; 67. ბერიმორი; 68. დინ; 69. რკინა; 70. ევანდერ; 71. დუმა; 72. არი; 73. გრილიაჟი; 74. ამფორა; 75. მეფე; 76. იდეალი; 77. მარკ; 78. ჩიკორი; 79. როჭო; 80. რაიდერი; 81. კომში; 82. ორიგამი; 83. კარა; 84. მარკო; 85. მჭადი; 86. ჰანოი; 87. კაციჭამია; 88. ვალენტინა; 89. „ფერარი“; 90. ჭაჭა; 91. ჯინი; 92. ვერ; 93. ლელო; 94. ბროკოლი; 95. გარგარი; 96. ბადაგი; 97. სანტიაგო; 98. ისინდი; 99. იგი; 100. გარჯა; 101. გიბონი; 102. ბადრაგი; 103. ოდესა; 104. აარონი; 105. მატარებელი; 106. რეი; 107. ჭალა; 108. მარიხუანა; 109. სპა; 110. იურული; 111. მონეტა; 112. კოლა; 113. კილიმანჯაროს; 114. ნო; 115. მანდარინი; 116. ენია; 117. რა; 118. ალიზი; 119. ტარანტული; 120. ხონი; 121. ოპერა; 122. ზარები; 123. ფრე; 124. ილიკო; 125. ფირნიში; 126. ისინი; 127. ასი; 128. ანიმე; 129. გლენ; 130. ურალი; 131. მე; 132. აკვანი; 133. მაკ; 134. იგლესიასი; 135. ცა; 136. ემე; 137. ყბა; 138. რიზ; 139. ოიდიპოს; 140. დრო; 141. ნეპი; 142. „ოსკარი“; 143. „ბოინგი“; 144. ოცი; 145. ელიბო; 146. კირილიცა. იკითხება: მოდილიანი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

დამენიების, ხაზურძანიების, შელეგაიების ოჯახი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნათელა დამენია**

**პანაშვიდი:** 2-3 სექტემბერს, 6-9 სთ.
**გამოსვენება:** 4 სექტემბერს, 2 სთ. დიდუბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან.
**მისამართი:** ქ. თბილისი სამტრედიის ქ. №17.



ქართველ იურისტთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ცნობილი პროკურორი და გამოძიების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი **ჯანგულ ჯანელიძე**, რომელიც 2005 წლამდე ღირსეულად ემსახურა თავის პროფესიასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეს. მისი მაღალი ადამიანური და პროფესიული თვისებები განსაკუთრებით გამოვლინდა ჯერ იმერეთის საოლქო პროკურორის (2001-2003 წწ.) და ბოლოს ქ. თბილისის პროკურორის პირველი მოადგილის (2004-2005 წწ.) მაღალ პოსტებზე მოღვაწეობისას.

ჯანგულ ჯანელიძე გამოირჩეოდა პრინციპულობასთან შეხამებული სამართლიანობითა და ჰუმანურობით. ყოველთვის იყო დამნაშავეობასთან ბრძოლის წინა ხაზზე და ამავდროულად იჩენდა დიდ გულისხმიერებას დაზარალებულთა და უფლებაშელახულთა მიმართ.

მისმა ოჯახმა დაკარგა ღირსეული მეუღლე, მამა და ბაბუა, ხოლო მეგობრებმა და კოლეგებმა – უღალატო და ერთგული ადამიანი.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახს.

ბატონო ჯანგულ, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური ქუთაისის მიწა.

კოლეგებისა და მეგობრების სახელით,

***გია მეფარიშვილი, ვენედი ბენიძე, შოთა ასათიანი, თემურ მონიავა, მალხაზ საჯაია, შალვა ფხაკაძე, ნუგზარ სადრაძე, გურამ გვენცაძე***

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

# საუკეთესო წამალი ადამიანის... ნერწყვი



მეცნიერებმა ზუსტად დაადგინეს – ჭრილობების შეხორცების საუკეთესო საშუალება ადამიანის ნერწყვია! რატომ?

სპეციალისტების განმარტებით, განსაკუთრებულ თვისებებს ნერწყვს მისავე შემადგენლობაში შემავალი ცილა, სახელწოდებით გისტატინი ანიჭებს.

ამ აღმოჩენის ავტორები ჰოლანდიელი მედიკოსები არიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანის ორგანიზმს რიგი მიზეზების შედეგად დარღვეული უჯრედების აღდგენაში სწორედ გისტატინი ეხმარება.



ახლა კი უფრო ზუსტად კვლევის შესახებ, რომელმაც დაადგინა კიდეც ნერწყვის საოცარი თვისებები:

ადამიანის სხეულის დაზიანებული უჯრედები ბიოლოგებმა ორ კოლბაში ჩააწყვეს, რომელთაგან ერთ-ერთი ნერწყვით იყო სავსე, მეორე კი სითხით, რომელიც თავისი შემადგენლობით, ზღვის წყალს წააგავდა.

16 საათის გასვლის შემდეგ, როცა სპეციალისტებმა კოლბებიდან დაზიანებული უჯრედები ამოიღეს, აღმოაჩინეს, რომ ნერწყვს ჭრილობა თითქმის შეუხორცებია, მეორე სითხეს კი შედეგი საერთოდ არ მოუტანია.

– ვფიქრობთ, ჩვენი აღმოჩენით დავეხმარებით იმ ადამიანებს, რომლებიც მოურჩენელი დიაბეტური ან სხვა ჭრილობებით იტანჯებიან, – იმედოვნებენ ჰოლანდიელი მედიკოსები, თუმცა ზუსტად როგორ გამოყენებას მისცემენ ადამიანის ნერწყვს, ჯერჯერობით არ აზუსტებენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**medportal.ru**

# ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**2 სექტემბერი:** დიდი შესაძლებლობები გექნებათ, მაგრამ ვერ გამოიყენებთ, სანამ ახლო გარემოცვისგან არ განთავისუფლდებით.

**კურო 22.04-21.05**
**2 სექტემბერი:** დიდი ხნის მანძილზე ჩამოყალიბებული მოქმედებების სქემა შეცვალეთ და ისეთ საინტერესო რამეს დაინახავთ, რასაც ადრე ვერ ამჩნევდით.

**ტყუპები 22.05-21.06**
**2 სექტემბერი:** თქვენს სიახლოვეს ყოფნა ძალიან ძნელი იქნება. ვინც ამას მოახერხებს, დიდი მოთმინება დასჭირდება. სამაგიეროდ, გაიგებთ, ახლობლებიდან ვისთვის ხართ უფრო ძვირფასი.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**2 სექტემბერი:** ძალიან ბევრი რამე მიგაქვთ გულთან ახლოს. არ ღირს, თქვენს საწყენად არავინ არაფერს აკეთებს სპეციალურად.

**ლომი 23.07-22.08**
**2 სექტემბერი:** დღეს თქვენს გარეგნობას მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოთ, რადგან ვილაცაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენა მოგიწევთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**2 სექტემბერი:** ფუჭ, არაფრისმომცემ კამათში არ ჩაერთოთ, საქმესაც დააზარალებთ და დროსაც ტყუილად დაკარგავთ. უმჯობესია, სიტუაცია გააანალიზოთ და ზედმეტი წვრილმანებისგან განთავისუფლდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**2 სექტემბერი:** კარგი დღეა საჩუქრების გასაცემად. რაც არ უნდა იყოს, დიდი სიხარულით მიიღებენ და მადლიერი დაგრჩებიან. ოღონდ, ძალიან არ დაწვრილმანდეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**2 სექტემბერი:** ყურადღებით მოისმინეთ, რას ამბობენ გარშემომყოფნი თქვენზე. ბევრ ახალსა და საინტერესოს გაიგებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**2 სექტემბერი:** მოთმინება იქონიეთ, ალბათ, უახლოეს ხანებში ცოტა რამ გაგახარებთ. თქვენი მოთმინება ძალიან მალე მრავალჯერადად ანაზღაურდება.

**თხის რქა 22.12-19.01**
**2 სექტემბერი:** რაოდენ დათრგუნულიც არ უნდა იყოთ, შხაპი განწყობას მომენტალურად გამოგიკეთებთ, ენერგიით აღივსებით და ნებისმიერ საქმეს დროულად გაართმევთ თავს.

**მერწყული 20.01-18.02**
**2 სექტემბერი:** თუ დღეს ვინმე უდიერად მოგექცათ, არ გაგიკვირდეთ, ეს პასუხი იქნება იმაზე, როგორც თავად ექცევით სხვას. თუ რაღაც არ მოგწონთ, დღეს გამოსწორების საშუალება მოგეცემათ.

**თევზები 19.02-20.03**
**2 სექტემბერი:** უცნობია, რის გამო, მაგრამ დღეს საკმაოდ უმოქმედო იქნებით, სამაგიეროდ, სხვების მობილიზებასა და საქმიანობაში გააქტიურებას შეძლებთ.

# შემწვარი კარტოფილი და კიბო – კავშირი არსებობს?



მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დიეტოლოგები არ იღლებიან და ლამის ყოველდღე ერთსა და იმავეს იმეორებენ – ნუ ჭამთ შემწვარ საკვებს!

ახლა უკვე მათ რიგებს ჰოლანდიელი სპეციალისტებიც შეემატნენ, რომლებიც ირწმუნებიან, რომ შემწვარი კარტოფილის მიღება სუსტ სქესში საკვერცხეებისა და საშვილოსნოს კიბოს გაჩენის რისკს ორჯერ ზრდის!

ასეთი დასკვნის გამოტანა ჰოლანდიელმა მკვლევარებმა მას შემდეგ შეძლეს, რაც 12 ათასი ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს.

როგორც ირკვევა, სპეციალისტები კვლევის თითოეული მონაწილის კვების რაციონით დაინტერესდნენ და აღმოაჩინეს, რომ ის კატეგორია, რომელიც ჩიფსებსა და შემწვარ კარტოფილს ხშირად მიირთმევს, ზემონახსენები დაავადებების გაჩენის რეალური საფრთხის წინაშე დგას.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ კიბოს გაჩენის რისკს აკრილამიდი ქმნის, ნივთიერება, რომელიც პროდუქტების შეწვის დროს გამოიყოფა და სხვადასხვა ორგანოს იმუნიტეტს მნიშვნელოვნად აზიანებს.

**lenta.ru**

# ინსულტის განვითარების აღმოჩენა ადამიანის თვალის ბადურის დახმარებით შეიძლება?



ძალიან საინტერესო და ამასთანავე, მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთეს ავსტრალიელმა ოფთალმოლოგებმა, რომლებმაც დაადგინეს, რომ ადამიანის თვალის ბადურაზე დაკვირვება შესაძლებელს ხდის, თავის ტვინის ინსულტის განვითარების რისკი დროზე ადრე გამოაშკარავდეს. კერძოდ, მეცნიერებმა მწვანე კონტინენტიდან შეიმუშავეს მეთოდიკა, რომელიც შესაძლებელს ხდის, გაკონტროლდეს თავის ტვინის ძარღვების მდგომარეობა და დადგინდეს, აქვს თუ არა ადამიანს მიდრეკილება არა მხოლოდ ინსულტისკენ, არამედ ასაკობრივი ჭკუასუსტობისკენ.

აღნიშნული დასკვნის გამოტანამდე ავსტრალიელებმა საშუალო ასაკის 800-მდე ადამიანის მდგომარეობა შეისწავლეს და მათი თვალის ბადურისა და თავის ტვინის მაგნიტო-რეზონანსული სკანირების შედეგები ერთმანეთს შეადარეს.

სპეციალისტების აზრით, თავის ტვინის ძარღვებში მიმდინარე პროცესების დიდი ნაწილი თვალის ბადურის ძარღვებზე აისახება. მაგალითად, ამ უკანასკნელის დასივება ან სისხლდენა შემთხვევითი მოვლენა არ არის და ტვინში მიმდინარე პროცესების ლოგიკური შედეგია. ამდენად, თვალის ბადურის შესწავლით, სავსებით შესაძლებელია იმის დადგენა, მიმდინარეობს თუ არა თავის ტვინში პათოლოგიური პროცესები, რითიც უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა გახდება შესაძლებელი.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**dr20.ru**



კოტე ცირკში რეკავს:

– ალო, გამარჯობათ! თქვენთან მინდა მუშაობის დაწყება.

– და რა შეგიძლიათ?

– საქმე ისაა, რომ ორი თავი მაბია. თანაც, ერთ თავზე სამი ყური მაქვს.

– ოოო, ეს ხომ სენსაციაა?! სად შეიძლება თქვენი ნახვა?

– ხვალ შევხვდეთ რუსთაველის მეტროს წინ – ხელში კატა მეკავება...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია
211359457
ქრონიკა

დამფუძნებელი
**გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.46